

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სტუდენტთა მეხუთე საფაკულტეტო  
სამეცნიერო კონფერენცია**

**თეზისები**

**15-16 დეკემბერი**

**2022**

## **სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

**ნანა გაფრინდაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**თეიმურაზ პაპასქირი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი

**ეკატერინე ნავროზაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

**დარეჯან გარდავაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი

**ნინო ჰოპიაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე)

**ნათია ფუტყარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი

**ირინა ნოზაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## **ანი ბაიდოშვიდი**

### **რეალიზმი, მითი და ანტიმითი ჰოვარდ ლავკრაფტის „ქთულჰუს ძახილში“**

თანამედროვე მწერლები, მათ შორის ჯოის კეროლ ოუტსი და სტივენ კინგი, საშინელებათა ჟანრის ყველაზე გამორჩეულ მწერლად, ედგარ ალან პოს შემდეგ, ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტს ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ ლავკრაფტის შემოქმედებამ ფანტასტიკისა და საშინელებათა ჟანრში მოღვაწე მწერლებისა და კინორეჟისორების მრავალ თაობაზე იქონია გავლენა, თავად ავტორს სიცოცხლეში აღიარება არ მოუპოვებია, ის უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა.

ლავკრაფტის მიერ სიცოცხლის მანძილზე წარმოებული მიმონერების უზარმაზარი კორპუსის კვლევიდან ცხადი ხდება, რომ ის საკუთარ თავს მატერიალისტად და სკეპტიკოსად მიიჩნევდა, ხოლო ცხარე მიუღებლობას ავლენდა მისტიციზმისა და რელიგიური ფანატიზმის ყოველგვარი გამოვლინებების მიმართ. ფანტასტიკის შეხედულებები ყველაზე უკეთ მის მაგნუმ ოპუსში, „ქთულჰუს ძახილში“, აისახა. სწორედ ამ ნაწარმოების სიღრმისეული კვლევა იძლევა იმის საფუძველს, რომ რეალიზმი ლავკრაფტის შემოქმედების განუყოფელ ნაწილად იქნეს განხილული. მიუხედავად ამისა, ფანტასტიკა საკუთარ შემოქმედებაში რალაც „მიღმიერის“ არსებობას სულაც არ უარყოფს. მწერალთან ცარიელი და უაზრო მატერიალური სამყაროს მიღმა აბსოლუტური ბოროტება იმალება. სწორედ ამგვარი ბოროტების მითიურ ღმერთებად განსხეულებულ ვერსიებთან უწევთ ლავკრაფტის რეალისტურ გმირებს ურთიერთქმედება. „ქთულჰუს ძახილში“ პერსონაჟების მიერ გავლილი გზა ჯოზეფ კემბელის მიერ შემოთავაზებული „მითოსური

ციკლის“ ამოტრიალებულ, ბნელ ვარიანტს წარმოადგენს. მოხსენებაში განხილულია ურჩხული-ღმერთების აღწერის თავისებურებებიც. მწერალი არსების მხოლოდ ზოგად მონახაზს გვთავაზობს, დეტალები კი მკითხველის ფანტაზიამ, ევროპულ კულტურულ ცნობიერში არსებული სახე-სიმბოლოების გამოყენებით, თავად უნდა დახატოს. ამით ჰოვარდ ლავკრაფტი კარლ გუსტავ იუნგის „კოლექტიური არაცნობიერის“ ცნებას უბრუნდება.

თემის აქტუალობას მონიშნავს როგორც „ქთულჰუს ძახილის“ 2015 წელს შესრულებული ქართული თარგმანი, ისე ლავკრაფტის მითოსზე დაფუძნებული ბოლო წლებში გამოსული არაერთი სერიალი და მხატვრული ფილმი. ამათგან, კომერციულად ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა 2022 წელს ლეგენდარული სემ რეიმის მიერ გადაღებული „დოქტორი სტრეინჯი: მულტისამყაროს სიგიჟეში“. ფილმის სათაური და სიუჟეტური დეტალების დიდი უმრავლესობა სწორედ ლავკრაფტის მითოსით არის შთაგონებული.

## **გიორგი ბახნაბიშვილი**

### **გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის პოლიტიკური პორტრეტების ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების შესახებ**

საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულებისთვის XVI-XVII საუკუნეები ურთულესი პერიოდი იყო. პერიოდი, როდესაც ორი ისლამური სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა ომებმა ამ ტერიტორიაზე თითქმის გაჩანაგების პირას მიიყვანა მაშინდელი საქართველო, მისი ეკო-

ნომიკის წამყვანი დარგები (სოფლის მეურნეობა და ა.შ.) და სხვა რიგი სფეროები. „საქართველოები“, ანუ, ქართული სამეფო-სამთავროები თავისი მეფე-მთავრებით ლავირების პოლიტიკას ატარებდნენ, ზოგი საკუთარი პოლიტიკური ერთეულების გადაარჩენისათვის, ზოგიც კი, ძირითადად, ქართლის სამეფო, ერთიანი საქართველოს ინტერესიდან ამოდიოდა.

საქართველოს ისტორიაში, XVII საუკუნეში, გამოჩნდა ორი პიროვნება, თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე, რომელნიც საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის ძალზედ მნიშვნელოვან და პროცესების განმსაზღვრელ პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ. ასეთი მნიშვნელობის პიროვნებების აღწერისას ისტორიოგრაფიაში ხშირად ვხვდებით ორ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებას, რაც გამოიხატება ამ ადამიანების პოლიტიკური სახის გაზვიადებაში ან, პირიქით, ძალზედ დაკნინებაში.

მოხსენებაში ვეცდებით ავხსნათ ის მიზეზები, თუ რამ გამოიწვია მეცნიერთა შორის ასეთი სუბიექტური დამოკიდებულება გიორგი სააკაძისა და თეიმურაზის პიროვნებებისა და მათი მოქმედებების შეფასების საკითხში. შეფასებები, რომელიც მკვეთრად დადებით, ან უარყოფით პოზიციას წარმოადგენს ორივე შემთხვევაში გადაჭარბებული უნდა იყოს.

ასეთი განსხვავებული პოზიციები, რიგ შემთხვევებში, საქართველოს ისტორიაში გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის დამსახურებისა და როლის არაობიექტურ განსაზღვრას იწვევს. მაგალითად, გიორგი სააკაძის პიროვნებასთან მიმართებაში, ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მისი მხოლოდ დადებითი როლის შესახებ, რაც, ხშირად, სააკაძის პიროვნების განდიდების ნაცვლად, უფრო მეტად, თითქოს, თეიმურაზ I-ის

პოლიტიკური სახის დაკნინებას გვიჩვენებს, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ უნდა წარმოადგენდეს სწორ მიდგომას და რეალობასთანაც აცდენილია. შევეცდებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ნაცნობ (გ. ჯამბურას, პ. იოსელიანის...) თუ ახლახან გამოქვეყნებულ (გ. ყორღანაშვილის...) ნაშრომებზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის შესახებ არსებული მიკერძოებული და სუბიექტური მიდგომების გამომწვევი მიზეზები.

## **ედნე ბეჩაია**

### **გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ – განვითარების პერსპექტივები**

ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმები XIX საუკუნიდან იწყებს არსებობას. მათი შექმნის იდეა სკანდინავიიდან იღებს სათავეს. ღია ცის ქვეშ მუზეუმების მიზანია ამა თუ იმ ხალხის კულტურის ელემენტების შენარჩუნება, დაცვა და მნახველისათვის წარმოდგენა. ის არის კულტურული მემკვიდრეობის საცავი, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. კავკასიაში პირველ ეთნოგრაფიულ მუზეუმს წარმოადგენს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქ წარმოდგენილია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეები, განთავსებულია სახლები, სამეურნეო ნაგებობები და მატერიალური კულტურის ელემენტები, ექსპონატები. მუზეუმი 1966 წელს დაარსდა, 1976 წლის 17 ივლისს კი ოფიციალურად გაიხსნა. მუზეუმის შექმნა გიორგი ჩიტაიას თაოსნობით მოხერხდა. მუზეუმის გენერალური

პროექტის ავტორია ლონგინოზ სუმბაძე. მუზეუმში ახლაც მიმდინარეობს რეკონსტრუქციის პროცესი, რათა განხორციელდეს მუზეუმის განვითარების გენერალური პროექტი. მუზეუმის საექსპოზიციო ზონაში წარმოდგენილია შემდეგი რეგიონები: ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. მოხსენებაში განვიხილავ მუზეუმის დაფუძნების ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებს, მოქმედ პროგრამებსა და გეგმებს, მიმდინარე ტრანსფორმაციებს, მუზეუმის სამომავლო განვითარების კონცეპტუალურ ხედვასა და სამოქმედო გეგმას. გავანალიზებ შესაძლებლობებსა და რესურსებს.

## **თამუნა ბოჩაშვიდი**

### **კამილ კოროს სურათების სერია „ქალი მოლბერტთან“**

XIX საუკუნის ფრანგი მხატვარი, კამილ კორო (1796-1875), ხელოვნების მოყვარულთათვის, ძირითადად, მისი ლირიკული პეიზაჟებითაა ცნობილი. იგი ერთ-ერთი პირველი იყო ფრანგ მხატვართა შორის, რომელმაც პლენერზე დაიწყო პეიზაჟების ხატვა და ააღორძინა ფრანგული პეიზაჟური მხატვრობის კლასიკური ტრადიციები. ამავე დროს, კორომ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ფრანგ იმპრესიონისტებზე, რომელთაგან ბევრი მისი მოსწავლე, ზოგი კი, განსაკუთრებული თაყვანისმცემელი იყო. როგორც თავად კორო აღნიშნავდა, მისი მთავარი შემოქმედებითი ამბიციია მხოლოდ პეიზაჟების ხატვა იყო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არსებობს უცნობი კამილ

კოროც, რომელიც მხოლოდ თავისთვის, საკუთარ სტუდიაში ქმნიდა ნაწარმოებებს. ეს ტილოები არასდროს გამოფენილა მხატვრის სიცოცხლეში. მათზე, უმეტესწილად, ქალები არიან გამოსახული, მითოლოგიური პერსონაჟების, ალეგორიული ფიგურებისა თუ რეალური პიროვნებების სახით. კოროს სტუდიაში შესრულებულ ნამუშევართაგან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სურათი „ქალი მოლბერტთან“, რომლის რამდენიმე განსხვავებული ვერსია შექმნა მხატვარმა დროის მცირე ინტერვალში (1865-70). ერთი და იმავე სიუჟეტის ამსახველ ამ ვერსიებში, კოროს სხვადასხვა დეტალები აქვს ჩართული, რომლებიც გარკვეულ სემანტიკურ დატვირთვას ატარებს. მოხსენებაში განხილული იქნება სურათის „ქალი მოლბერტთან“ განსხვავებული ვერსიები და გაანალიზებული იქნება ის მიზეზები, რის გამოც მხატვარი რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ მოტივს. ამავე დროს, ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იცვლება ქალის როლი XIX საუკუნის ფრანგულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში.

## **მაჩიამ ბუკია**

### **ლექსემა ღორონთი „ღმერთი“ მეგრულ იდიომებში: ენობრივი ანალიზი**

მოხსენებაში განხილულია ადამიანთა რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკის მონაწილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიზმების ერთი ჯგუფი მეგრულში. კერძოდ, ჩვენი მიზანია ღორონთი „ღმერთი“ ლექსემით შედგენილი იდიომების ენობრივი ანალიზი. აღნიშნული მიზნის შესაბამისად, ნაშრომში



გამოვლენილი და გაანალიზებულია ის მრავალფეროვანი გრამატიკული და ლექსიკური ინვენტარი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო იდომებში გამოიყოფა. კვლევის ამოცანების შესასრულებლად, ძირითად ემპირიულ ბაზად აღებულია ბეჭდური გამოცემები, თუმცა მასალის შესადარებლად და მიღებული დასკვნების ვერიფიკაციისთვის ნაშრომში გამოყენებულია ელექტრონული რესურსების (<http://idioms.tsu.ge/>; <https://titus.uni-frankfurt.de>; <http://gnc.gov.ge>) მონაცემებიც.

საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იდომების, როგორც უნივერსალური ენობრივი ერთეულების, ინტერდისციპლინური ხასიათით. ფრაზეოლოგიზმების კვლევა საინტერესოა ამა თუ იმ ენობრივი სისტემის, საზოგადოების მენტალიტეტისა და კულტურის შესასწავლად. იდომებში კოდირებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია კონკრეტული ხალხის ისტორიის, ყოფა-ცხოვრებისა თუ რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ამ კუთხით საინტერესოა მონათესავე ქართველურ ენათაგან ერთ-ერთის – მეგრულის მასალაზე დაკვირვება, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ წარმოვაჩინოთ საერთო-ქართველური ენობრივი სურათი და გავეუმყაროთ ნიადაგი სამომავლო ტიპოლოგიურ კვლევებს ამ მიმართულებით.

საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტიკაში არსებული ტრადიციული (დესკრიფციული, შედარება-შეპირისპირებითი, სტატისტიკური, სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზის) და თანამედროვე (კორპუსზე დამყარებული) კვლევის მეთოდები. მოხსენებაში ვრცლად იქნება საუბარი მეგრულში გამოვლენილ როგორც ქართულთან საერთო, ისე განსხვავებულ ენობრივ სურათზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, საერთო-ქართველურ ლინგვოკულტურულ ჩარჩოში განიხილება.

## **ნიკოლოზ გაბდელიანი**

### **„ლეკების უბანი“ სოფელ დილოში**

ნაშრომის მიზანია სოფელ დილომის ერთ-ერთი ნაწილის, „ლეკების უბნის“ სოციოკულტურული გარემოს შესწავლა და ანალიზი. ნაშრომში საუბარია XIX საუკუნეში დაღესტნიდან სოფელ დილოში მიგრირებული სამი ლეკური ოჯახის ადგილობრივებთან ადაპტირებასა და მათი თვითიდენტობის საკითხზე. ახალმოსულები სოფელ დილომის ერთ კონკრეტულ უბანში დასახლდნენ, რომელსაც დიღმელებმა „ლეკების უბანი“ უწოდეს. „ლეკების უბანი“ სოფელ დილომის ცენტრის სიახლოვეს მდებარეობს და დაახლ. 1 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს.

ახალმოსულებმა მალევე შეითვისეს ადგილობრივთა ყოფითი კულტურის თავისებურებები და შეისწავლეს ქართული ენა; მათი სამეურნეო საქმიანობა კი ადგილობრივებთან დაახლოების ერთ-ერთი გასაღები აღმოჩნდა. ლეკთა შვილები ქართულ სკოლებში დადიოდნენ და ქართულ უნივერსიტეტებში აბარებდნენ, საცხოვრებლად კი დილოში სახლდებოდნენ.

მოგვიანებით, ლეკთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი კი სოფელ დილოში დარჩა, რომელთაგან ზოგიერთმა ქრისტიანული მრწამსი მიიღო. დღესდღეობით „ლეკების უბანში“ ორი კომლია დარჩენილი, რომლებიც კავშირს არ წყვეტენ დაღესტნელ ნათესავებთან და ინარჩუნებენ გარკვეულ ლეკურ ტრადიციებს, თუმცა თავს ქართველებად მიიჩნევენ.

## **ღუკა გედაშვიდი**

### **სოციალ-ეკონომიკური ნყობები და სოციალური იერარქიის ჯაჭვი ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებებში**

ძველი შუამდინარეთი, განსაკუთრებული შესწავლისა და ყურადღების საგანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე: მდინარეების – ევფრატსა და ტიგროსს შორის მოქცეულ ვრცელ სივრცეში შეიქმნა ერთ-ერთი პირველი „სამდინარო ცივილიზაციები“, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პირველყოფილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სრულყოფასა და მათ შემდგომ განვითარებაში.

მოხსენებაში წარმოვაჩენ ძველ შუამდინარეთსა და მისთვის დამახასიათებელ სოციალ-ეკონომიკური სისტემებისა და სოციალურ ფენათა იერარქიის შესახებ კვლევას, რადგან ეს ორი საკითხი გამოირჩევა თავისი უნიკალურობითა და მრავალფეროვნებით, რამაც გამოიწვია საკვლევ თემათა დღემდე აქტუალურობა.

## **იხა გედაძე**

### **ნაქარგობები, როგორც ეთნოგრაფიული წყარო**

საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისა თუ ისტორიოგრაფიის სიღრმეებში, არცთუ ისე მრავლად გვხვდება არტეფაქტები, რომლებშიც შემონახულია ადრეული, საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი პირველი ნაქარგობები, რომლებშიც ასახულია რეალობა სრული სიზუსტით. რაც მოგვცემს საშუა-

ლებას, ნაქარგობები, როგორც ეთნოგრაფიული წყარო ისე გამოვიყენოთ და აღვადგინოთ იმ ეპოქის ყოფა-ცხოვრების ელემენტები, კულტურული მახასიათებლები, განვითარების დონე და მათი ტრანსფორმაციული პროცესი.

მოცემულ ნაქარგობებში შემონახულია ეპოქალური ხედვა თუ სულიერი მდგომარეობა საზოგადოების, რომლის ერთ-ერთი მთავარი ტრადიცია გახლდათ ნაქარგობების თაობიდან თაობაზე გადაცემა. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაქარგობებში მკაფიოა ხალხთა კულტურული და სოციალური განსხვავებულობა. რაც მთავარია, მკვეთრად ჩანს ეროვნული ხასიათი საზოგადოებაში. მათში დიდებულადაა შემონახული ერის საერთო ისტორიული წარსული და, ხშირ შემთხვევაში, თითოეულ ორნამენტში ასახულია: ისტორიული ვითარება, საერთო ეთნიკური გენეზისი და სოციუმისათვის მიღებული მახასიათებლები. როგორც ვიცით, მთაში, სოფლად მცხოვრებ გლეხ ქართველებს მძიმე ისტორია აქვთ, ისინი შრომითა და ჯაფით მისდევენ მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, მევენახეობას და ცდილობენ ასე მოახერხონ მცირედი შემოსავლის მიღება, რაც საარსებოდ აუცილებელია. ამ ყველაფერს კი პარალელურად ტრადიციის შენარჩუნებას, გამრავალფეროვნებასა და თაობიდან თაობაზე გადაცემას უთავსებენ.

შევეცადე დავკვირვებოდი ნაქარგობებით ტრადიციის არსს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საზოგადოების მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობას, მათში ასახულ მოზაიკას. შედეგად მკაფიოა, რომ ნაქარგობებში ასახულია ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო – სიცოცხლის ხე და ბევრი ის სიმბოლო, რომლებიც წარმართული დროიდან მოყოლებული ითვლებოდა ოჯახის მფარველად. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაქარგობები უნიკალური კულტურის ნიმუშია. ისინი

ინახავს ხელოვნების ესთეტიკურ, მშვენიერ მახასიათებლებს. ნაქარგობაში მკაფიოდ იყო ასახული შემსრულებლის ოსტატობა, ხედვა, გემოვნება, მისი ნიჭი და ხელმარჯვეობა.

ქართული ნაქარგობები გამოიყენებოდა როგორც საექსპორტოდ, ასევე რელიგიური დანიშნულებითაც. რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ნაქარგობების ტრადიცია.

დაკვირვებისა და კვლების მიზანია ნაქარგობების, როგორც ეთნოლოგიური, კულტურული წყაროს მნიშვნელობის გააზრება, ნაქარგობების ტრადიციის აღდგენა, მათში ქართველთა მახასიათებელი ელემენტების, სიმბოლოების, კულტურისა და ყოფის წარმოჩენა, სიმბოლოთა მსგავსება-განსხვავებების საფუძველზე ეპოქისა და საზოგადოების სინთეზის რეალური სურათის მკაფიოდ ასახვა. ნაქარგობების ადგილი მოსახლეობის შინამრეწველობის პროდუქციაში. ნაქარგობები, როგორც თვითგამოხატვის საშუალება და, ამასთან, მათში დაცულ ორნამენტთა საშუალებით ისტორიის წარმოდგენა, გაცოცხლება.

## **ღანა გიოჩაძე**

### **ინგლისური სიტყვა „give“ და მისი ქართული კორელატის შედარებითი ანალიზი**

მოცემული მოხსენება შეეხება სიტყვა „give“ და მისი ქართული კორელატის „მიცემის“ შედარებით ანალიზს. კვლევის პროცესში შევისწავლე სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა ქართულსა და ინგლისურ ენებში, ასევე, ყურადღება გავამახვილე მათ ეტიმოლოგიურ თუ სემანტიკურ მხარეზე. შესაბამისად,

გავანალიზე მსგავსება-განსხვავებები ლექსიკურ, გრამატიკულ, ლიტერატურულ, იდიომატურ, სინონიმურ ქრილში.

მასალა მოვიპოვე ოქსფორდის, კემბრიჯის, კოლინსის, ვებსტერის, **dictionary.ge**-ის ლექსიკონებიდან, **online Etimologicat dictionary, Germanic.ge**. მაგალითები, ასევე, აღებულია ცოცხალი თუ მხატვრული მეტყველებიდან და ანდაზებიდან.

შედარებითა კვლევამ აჩვენა ისეთი განსხვავებული მახასიათებლები სიტყვისა, რომელიც ქართულ შესატყვისებში არ მოიძებნება. თუმცა, ზოგადი მნიშვნელობები სიტყვებისა საერთოა. მაგ., „give“-ის ერთ-ერთი ზოგადი მნიშვნელობა გულისხმობს ბოძებას, ჩუქებას, რასაც ქართულშიც ვხვდებით.

ასევე, ანგლო-საქსური და გოთური წერილობითი წყაროების საფუძველზე დადასტურდა ინგლისური სიტყვა „give“-ის შედარებით უფრო ფართო ეტიმოლოგიური ისტორია. თავდაპირველი ფორმა გახლდათ „**gieldan**“, საიდანაც, საბოლოოდ, თანამედროვე ინგლისურში მივიღეთ სიტყვა „**yield**“. ასევე, ანდაზებმა და ცოცხალმა მეტყველებამ აჩვენა, რომ სიტყვა განაგრძობს საუკუნეების განმავლობაში მრავალი ახალი მნიშვნელობის გაჩენას, რაც, თავისთავად, ამრავალფეროვნებს და უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვას. ცოცხალმა მეტყველებამ და სლენგის გამოყენებამ, ასევე, ახალი მნიშვნელობა მისცა სიტყვას, მაგალითად, **“Give the third degree to someone”** ან **“give it the old college try”**, რომელსაც, შედარებითობის თვალსაზრისით, ქართული კორელატი არ მოეძებნება.

რაც შეეხება ქართულ სიტყვას „მიცემა“, იდიომატური გამონათქვამები და, ზოგადად, სხვადასხვა სემანტიკური ერთეულები ცხადყოფს ქართული და ინგლისური კორელატების როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავებას კერძო მაგალითების საფუძველზე.

## ნინო გოგადაძე

### Come – სიტყვის ლინგვისტური ანალიზი

ინგლისური ენა საკმაოდ მრავალფეროვანია ბევრი ასპექტის გათვალისწინებით. საინტერესოა თითოეული ლექსიკური ერთეულის განხილვა, როგორ განვითარდა და ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში, თუ რამდენად განსხვავებული მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კონტექსტში და ა.შ. მოხსენების მთავარი მიზანიც სწორედ ესაა, ნაჩვენები იყოს ის ლინგვისტური ნიუანსები, რომლებიც ხაზს გაუსვამს სიტყვა **Come**-ის განვითარების შედეგად მიღებულ ცვლილებებს, მის მახასიათებლებს და მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, იგი იზადება, იცვლება და ზოგჯერ, დროთა განმავლობაში, კვდომისკენ მიდის. ამიტომ, პირველ რიგში, აღსანიშნავი და ყურადსაღებია მოცემული სიტყვის ეტიმოლოგია, იმისათვის, რომ ვიცოდეთ როგორი სახით იყო მოცემული ის ადრეულ პერიოდში. იმის წარმოსაჩენად, თუ რა ცვლილებები განიცადა მან ძველი ინგლისურიდან დღემდე, თანამედროვე ფორმებამდე, მოხსენებაში, შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, განხილული იქნება ის ცვლილებები და განსხვავებები, რაც თვალსაჩინოს გახდის იმ ლინგვისტურ ნიუანსებს, რომლებიც ცხადყოფს განსახილველი სიტყვის განვითარებას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, თუ როგორ ვლინდება ყოველივე ზემოთ ხსენებული სხვა ენებში, ამ შემთხვევაში, ნაშრომში გავლებულია პარალელი ქართულ ენასთან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინგლისური სიტყვა **come**-ის ეკვივალენტს ჩვენს ენაში. როგორი მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ის სხვადასხვა

შინაარსის და ფუნქციის წინადადებებში, ანდაზებში, იდიომებსა თუ ყოველდღიურ მეტყველებაში.

დასასრულ, შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ კვლევამ გამოავლინა გარკვეული მსგავსება-განსხვავებები საანალიზო სიტყვის ძველ და თანამედროვე მნიშვნელობებს შორის, ასევე, გამოვლინდა გარკვეული მსგავსება-განსხვავებები ინგლისური სიტყვისა და მისი ქართული კორელატის შეპირისპირების საფუძველზე.

## **მაჩიამ გოგუაძე**

### **არქაული და პასიური ლექსიკა სპორტის დისკურსში**

თანამედროვე მსოფლიოში სპორტისადმი საზოგადოების ინტერესი დღითი დღე იზრდება. ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანა გამონაკლისი, თუმცა უჩვეულო ის არის, რომ აღნიშნულის ფონზე სპორტის დისკურსისადმი ლინგვისტთა ინტერესი ძალიან დაბალია – ქართულ სამეცნიერო სივრცეში თითქმის არ გვხვდება ნაშრომები, რომლებშიც სპორტის ტერმინოლოგიის, სპეციალური ლექსიკის, კომენტატორთა მეტყველებისა თუ მსგავსი საკითხების კვლევის შედეგები იქნებოდა წარმოდგენილი.

სპორტი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობის ნაწილია. სპორტულ ღონისძიებებს აშუქებენ მედიასაშუალებები, სპორტის სიახლეებს განიხილავენ რიგითი მოქალაქეები. სპორტის თემა აქტუალურია ყველგან – შინ თუ გარეთ – სასწავლებელში, ოჯახში, სამსახურში, ქუჩაში, ტრანსპორტში, მოედნებსა და სტადიონებზე, რამაც სპორტის დისკურსის ლინგვისტური კვლევის ინტერესი გაგვიჩინა. დაკვირვებისთვის



ბეჭდური მედია ავირჩიეთ, როგორც სპორტის დისკურსის დოკუმენტურად წარმოდგენის საშუალება.

როგორც ცნობილია, ბეჭდურ მედიასაშუალებათა ლექსიკა არასტაბილურობით ხასიათდება, ძალზე მოძრავი და ცვალებადია, მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, აქედან გამომდინარე: „თითქმის ყველა ლექსიკური შრე, რომელსაც სხვადასხვა საფუძველზე გამოყოფენ ლექსიკოლოგიაში, შეიძლება შეგვხვდეს საგაზეთო-პუბლიცისტური სიტყვების ჯგუფში, იქნება ეს სპეციალური თუ დარგობრივი, სტილურად შეფერილი თუ ნეიტრალური, ახალი თუ მოძველებული და სხვ.“ (გ. კვარაცხელია, „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, გვ. 145). ბეჭდურ მედიაში ლექსიკის ამგვარი თავისუფლება ყველაზე მეტად იგრძნობა სპორტის თემაზე შექმნილ ტექსტებში. მათი ავტორები ელტვიან განემსგავსონ სხვებს, რისთვისაც ნორმატიულობის საპირისპიროდაც კი მოქმედებენ. ისინი თვითშემოქმედებას ენევიან ენის ყველა უბანზე, რითაც მეტყველების საკუთარი სტილის შექმნას ცდილობენ.

თანამედროვე მედიაში დადასტურებული სპორტის დისკურსი გაჯერებულია არქაიზმებითა და პასიური ლექსიკის ერთეულებით. აღნიშნული სიტყვებით სპორტის ჟურნალისტები თავიანთ მეტყველებას მეტად ექსპრესიულს ხდიან, რითიც მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა სურთ. თუმცა არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ სპორტის სამყაროში განვითარებული მოვლენები ინფორმაციის უახლეს ტიპს მიეკუთვნება, უახლესი ინფორმაცია კი ყველასათვის გასაგები ენით უნდა გადმოიცეს. ორიოდ მაგალითის დამონმებაც კმარა იმის საჩვენებლად, რამდენად შეუსაბამოა პასიური, მით უფრო – არქაული, ლექსიკით სპორტის ამბების თხრობა:

„ეგზომ პრესტიჟულ ტურნირზე გუნდის ნახევარმა მედალი მოიპოვა“ ([http://lelo.ge/ 01:22 2022.06.30](http://lelo.ge/01:22.2022.06.30)).

„მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა“ ბევრი ინვალა, მაგრამ ოდენ ნახევარმომენტები შექმნა და ვერაფერი შეცვალა“ ([http://lelo.ge/ 02:24 2022.10.16](http://lelo.ge/02:24.2022.10.16)).

„კობერტი წამოიმართა და რის ვაინაჩრობით მიაღწია რაუნდის ბოლომდე“ ([https://www.sarbieli.com/ 10/05/2018](https://www.sarbieli.com/10/05/2018)).

„ყველა კლუბს დაურბის ერთი-ორი ლათინოამერიკელი ჯეელი, რომელთა სიჩაუქეზეც დიდნილადა დამოკიდებული ამ გუნდთა წარმატება“ ([https://worldsport.ge/ 21:48 | 16.08.2020](https://worldsport.ge/21:48|16.08.2020)).

ამ ტიპის კონტექსტები სპორტის თემაზე შექმნილ სტატიებში საკმაოდ ხშირად გვხვდება, რაზედაც მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ.

## ანა გოგიშვიდი

### ძველი ინგლისური სიტყვა leod და მისი თანამედროვე ინგლისური და ქართული შესატყვისები

მოხსენებაში შედარებულია ძველი ინგლისური სიტყვა leod და მისი თანამედროვე შესატყვისები ინგლისურ და ქართულ ენებში. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა. შევადარე ერთმანეთს ძველი ინგლისური სიტყვა leod და მისი თანამედროვე შესატყვისების სხვადასხვა მნიშვნელობები.

მოხსენებაში გაანალიზებულია საკვლევი სიტყვების გამოყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ანდაზებსა და იდიომებში.

შეპირისპირებითმა კვლევამ გამოავლინა მსგავსება-განსხვავებები, ასევე დადგინდა, რომ ძველი ინგლისური სიტყვა

**leoð** ამოვარდა ხმარებიდან და თანამედროვე ინგლისურში ჩანაცვლდა ნასესხები სინონიმებით – **poem, verse**. მსგავსება გახლდათ ის, რომ **Poem, verse** და მათი ქართული შესატყვისები ლექსი და პოემა, მნიშვნელობებით ერთმანეთს უმეტესწილად ფარავენ. მაგ., **a prose/an epic poem** – პროზაული/ეპიკური ლექსი; **blank verse** – თეთრი ლექსი; **free verse** – თავისუფალი ლექსი, ვერლიბრი. მხოლოდ რამდენიმე მაგალითში შეგვხვდა ქართული სიტყვა „ლექსი“ სიმღერის მნიშვნელობით. ამ მხრივ გამოვლინდა სემანტიკური მსგავსება ქართულ სიტყვასა და ძველ ინგლისურ სიტყვას შორის. მაგ., ამბავმა ააღელვა მომღერალი, ეშხე მოიყვანა და რამდენიმე საგმირო ლექსი იმღერა (ვ. ბარნოვი). სიტყვათა შეთანხმება „ლექსი იმღერა ავლენს ძველი ინგლისური **leoð** სიტყვის მსგავს სემანტიკას.

კვლევის ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ სიტყვა **poem** აბნევს ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელებს, რადგან ქართულ ენაში ეს სიტყვა მხოლოდ ეპიკურ ნაწარმოებს, პოემას აღნიშნავს, ინგლისურში კი მცირე ზომის ლექსსაც.

## **ია გოღიაძე**

### **რუსეთის პოლიტიკა და ქმედებები ყირიმისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ: შედარებითი ანალიზი**

მოცემული ნაშრომის მიზანია ყირიმისა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის ქმედებების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე, გამოკვეთოს კრემლის ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის ამ ორი გამოვლინების საერთო და განსხვავებული მახასიათებლები. ასევე ახსნას, თუ რატომ არის ყირიმი არა მარტო ოკუპირებული, არამედ ანექსირებულიც,

ხოლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ ოკუპირებული. მთავარი საკვლევი კითხვა ამგვარია: რა მსგავსებები და განსხვავებები იკვეთება რუსეთის ქმედებებში ყირიმისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ? ვფიქრობთ, საკითხი ძალიან აქტუალურია 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის მიერ რუსეთთან შეერთების საკითხზე დაგეგმილი და ან უკვე გაუქმებული რეფერენდუმის გათვალისწინებით. ნაშრომში სწორედ ამ კონტექსტშია განალიზებული საფრთხეები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე ცხინვალის რეგიონის შესაძლო ანექსიის სახით. ამ თვალსაზრისით, განხილულია 1991-1992 წლების კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში და 1994 წელს ყირიმის მიერ ავტონომიის მოპოვება. 2006 წელს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჩატარებული უკანონო პასპორტიზაცია და 2014-2016 წლებში ანალოგიური პროცესები ყირიმში; აგრეთვე 2014 წლის ყირიმის რეფერენდუმი და 2022 წლის ივლისისთვის დაგეგმილი, თუმცა არშემდგარი რეფერენდუმი ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“. ძირითადი განსხვავებები კი შეიმჩნევა იმ თვალსაზრისით, რომ თუკი რუსეთმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში გეგმის განხორციელება პირდაპირ სამხედრო საშუალებების გამოყენებით დაიწყო, ყირიმის ანექსია ჰიბრიდული ომის მეტოდებით განახორციელა და საქმეში ჩართო „ბოევიკები“, რომელთა ხელითაც შეუტია მოწინააღმდეგის სამხედრო დანაყოფებს. ხოლო იმის მიზეზი, რომ რუსულენოვან ყირიმში კრემლმა ანექსიას წარმატებით მიაღწია, ცხინვალის რეგიონში კი მსგავსი რამ ვერ მოახერხა არის ის, რომ რუსეთს საქართველოში ამ მხრივ ადგილობრივების განწყობების სახით არასასურველი პლაცდარმი ხვდება, რასაც თან ერთვის ამისათვის არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარება.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, მასში გამოყენებულია პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროები, ქართველი თუ უცხოელი მკვლევრების სტატიები და დარგის ექსპერტების ავტორობით შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა.

## **ადეკო ზავხადაშვიდი**

### **კლდის ხელოვნება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სამელე კლდის, გვარჯილასა და მღვიმევის მღვიმეების მიხედვით)**

მსოფლიოს მრავალ კუთხეში (მათ შორის დასავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, ამერიკის კონტინენტზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში) გავრცელებულია კლდის ხელოვნების ძეგლები ისევე როგორც მღვიმეებში, ასევე ღია ტიპის სადგომებზე. მათი მეშვეობით უნიკალურ ინფორმაციას ვიღებთ უძველესი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე. მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ საქართველო არ ეკუთვნოდა იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც კლდის ხელოვნების ძეგლები არსებობს. ეს სიტუაცია შეიცვალა წინა საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ჯერ ს. ზამიატინმა აღმოაჩინა მღვიმეში (ზედა პალეოლითი) კლდის ხელოვნების ნიმუშები, ხოლო შემდგომ 70-იან წლებში კი თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თრიალეთის პეტროგლიფების (მეზოლითი-შუა საუკუნეები) გამოვლენამ მთლიანად შეცვალა ეს წარმოდგენა.

საქართველოს ტერიტორიაზე კლდის ხელოვნების რამდენიმე ძეგლია დადასტურებული (თრიალეთის პეტროგლიფები,

დამირგაიას ეხი). 2022 წლის ოქტომბრის თვეში, თსუ სტუდენტური პროექტის დახმარებით (პროექტის სახელწოდება „კლდის ხელოვნება საქართველოში“) წავედით ქიათურის მუნიციპალიტეტში, სადაც 30-მდე ქვის ხანის ძეგლია დადასტურებული. ჩვენი მთავარი მიზანი იყო ს. ზამიატინის მიერ მღვიმეში აღმოჩენილი ნაკანრების მონახულება და სხვა მღვიმეების დაზვერვა, კლდის ხელოვნების ახალი ნიმუშების აღმოჩენის მიზნით. პროექტის ფარგლებში მოვინახულეთ 20-მდე მღვიმე/ეხი. საგულდაგულოდ დავათვალიერეთ მათი კედლები და გარკვეულ ნაკანრებსაც მივაგენით. მოვახდინეთ მათი დოკუმენტაცია თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით (ფოტოფიქსაცია ფოტოაპარატისა და დრონის გამოყენებით), ჩავხატეთ თითოეული ნაკანრი, ავიღეთ ზომები.

ჩვენ მიერ დაზვერილი 20-მდე მღვიმიდან 3 მათგანში, სამელე კლდეში, გვარჯილასა და მღვიმევის მღვიმეებში მივაკვლიეთ კლდის ხელოვნებას. მღვიმეში შემჩნეული იყო კლდეზე ნაკანრები, რომელთა არსებობაც, პროექტის ფარგლებში, დავაზუსტეთ. გამოვავლინეთ 10 ნაკანრი. რაც შეეხება გვარჯილას მღვიმესა და სამელე კლდეს, აქ მივაკვლიეთ დღემდე უცნობ კლდის ხელოვნების ნიმუშებს. სამელე კლდეში დავაფიქსირეთ 1 ნაკანრი, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალურ ხაზს, რომლის სიგრძეა 8სმ და აქვს 4 განშტოებითი ხაზი. გვარჯილას კლდის მღვიმეში დაფიქსირდა 7 ნაკანრი, რომელთა ზომები მერყეობს 3,5-22 სმ-ებს შორის. ეს აღმოჩენები ადასტურებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კლდის ხელოვნების არსებობას.

## ნინა ზიგეხი

### ახალი მმართველი კოალიცია გერმანიაში და პოლიტიკური სტაბილურობა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სტრუქტურირებულია, როგორც ფედერალური სახელმწიფო და საპარლამენტო დემოკრატია. ძირითადი კანონი ადგენს, რომ ხელისუფლების ყველა უფლებამოსილება მომდინარეობს ხალხისგან. ხალხი ამ უფლებამოსილებებს ანიჭებს პარლამენტებს (ბუნდესტაგს და სახელმწიფო პარლამენტებს) საკანონმდებლო პერიოდის განმავლობაში. სახელმწიფოს უფლებამოსილება იყოფა საკანონმდებლო (საკანონმდებლო), აღმასრულებელ ხელისუფლებად (აღმასრულებელი) და მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილებად (სასამართლო). პროტოკოლის თვალსაზრისით, ფედერალური პრეზიდენტი გერმანიის ყველაზე უფროსი წარმომადგენელია. ბუნდესტაგის პრეზიდენტი პროტოკოლის მხრივ მეორე უფროსია. ფედერალური პრეზიდენტის წარმომადგენელი არის ბუნდესრატის პრეზიდენტი. ყველაზე დიდი პოლიტიკური ძალა-უფლების მქონე ოფისი არის ფედერალური კანცლერის ოფისი. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი, ასევე, არის ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენელი.

ბუნდესკანცლერი (ფედერალური კანცლერი) ხელმძღვანელობს Bundesregierung-ს (ფედერალურ მთავრობას) და, შესაბამისად, ფედერალური მთავრობის აღმასრულებელ შტოს. მათ ირჩევენ ბუნდესტაგში (გერმანიის პარლამენტი), რომლის წინაშეც პასუხისმგებელი არიან. მთავრობის სხვა წევრები არიან ფედერალური მინისტრები, რომელთაც კანცლერი ირჩევს.

გერმანიას ჰყავს ახალი ფედერალური მთავრობა. ოლაფ შოლცი ახალი ფედერალური კანცლერია. მისი მთავრობა შედგება პოლიტიკოსებისგან, რომლებიც სამი სხვადასხვა პარტიიდან მოდიან: SPD, მწვანეები და FDP. ისინი შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა პოლიტიკის გატარება სურთ ერთად მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. ოლაფ შოლცი SPD პარტიას ეკუთვნის. მისმა პარტიამ მიაღწია შეთანხმებას მწვანეებთან და FDP-თან. სამი პარტია ახლა კოალიციას აყალიბებს. ისინი ერთად მუშაობენ ბუნდესტაგში და ერთად ქმნიან ახალ მთავრობას. მთავრობის რვა წევრი SPD-დანაა, ხუთი მწვანეებიდან და ოთხი FDP-დან. სამი მმართველი პარტია არის წითელი, ყვითელი და მწვანე – იგივე ფერები, როგორც შუქნიშანი. ამიტომ ახალ მთავრობას „შუქნიშნის კოალიციასაც“ უწოდებენ.

რაც შეეხება გერმანიის პოლიტიკურ სტაბილურობას, უნდა ითქვას: მისი პოლიტიკური სისტემა ეფუძნება წარმომადგენლობით დემოკრატიას, რომელსაც ახლავს ძლიერი პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო საზოგადოება. პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები, ძირითადად, უზრუნველყოფილია კანონსა და პრაქტიკაში. პოლიტიკურ სისტემაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ტოტალიტარული წარსული, კონსტიტუციური გარანტიებით, რომლებიც შექმნილია ავტორიტარული მმართველობის თავიდან ასაცილებლად. იმას, თუ როგორ ხდება გერმანიაში სტაბილურობის შენარჩუნება, მრავალფეროვანი კოალიციების ჩამოყალიბების მიუხედავად, მოხსენებაში განვიხილავ.



## **მაჩიამ თხინვადელი**

### **დაუჯდომელი ყოვლადნმიდისა ღმრთისმშობელისა და მისი ძველი ქართული თარგმანი**

დაუჯდომელი ყოვლადნმიდისა ღმრთისმშობელისა, ანუ ჰიმნი აკათისტო (**Ἀκάθιστος Ὕμνος**) ამ ტიპის საგალობელთა პირველი ნიმუშია. იგი წარმოითქმის ფეხზე დგომით და სახელწოდებაც შესრულების წესიდან მომდინარეობს. ჰიმნი აკათისტო სამადლობელი ხასიათისაა. პოლისი მადლობას შესწირავს ღმრთისმშობელს კონსტანტინოპოლის სასწაულებრივი გადარჩენის გამო.

ღმრთისმშობლის დაუჯდომელი საგალობლის ძველი ქართული თარგმანი მოღწეულია XVI-XVII საუკუნეების ხელნაწერებით. ჩვენთვის უცნობია ჰიმნი აკათისტოს თარგმნის დროცა და მთარგმნელის ვინაობა. ხელნაწერიდან ვიგებთ, რომ მთარგმნელი საგალობლის ავტორად ბიზანტიური რიტმული პოეზიის პირველი სკოლის, კონტაკიონთა, წარმომადგენელს რომანოზ მელოდოსს მიიჩნევს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ღმრთისმშობლის დაუჯდომელი საგალობლის ძველი ქართული თარგმანი შევუდაროთ ძველ ბერძნულ ტექსტს და განვსაზღვროთ თარგმანის სტილი, დავადგინოთ, რამდენად ახდენს გავლენას სათარგმნი ტექსტის ჟანრი თარგმანის ხასიათზე, დავაკვირდეთ თარგმანთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემებს, კერძოდ, როგორ გადმოაქვს მთარგმნელს გრამატიკული სტრუქტურები, სინტაქსური კონსტრუქციები, მხატვრული სახეები, კომპოზიციები (კომპოზიციების გადმოტანისას თავჩენილია თუ არა ფორმალური და სემანტიკური კალკები, ბერძნულ კომპოზიციტს თარგმანში კომპოზიტი შეესაბამება თუ მარტივი

სიტყვა). ამასთანავე, გამოვავლინოთ, ჩანს თუ არა მთარგმნელის რაიმე ტიპის ინდივიდუალური თავისებურება და რამდენად ახერხებს იგი, დაიცვას თარგმანის ენის ბუნება.

მაშასადამე, წინამდებარე კვლევით შევისწავლით ღმრთის-მშობლის დაუჯდომელი საგალობლის ძველ ქართულ თარგმანს ძველ ბერძნულ ტექსტთან მიმართებით.

### **მაჩიამ კაკადაშვიდი**

## **ქალური ნარატივი ვირჯინია ვულფის შემოქმედებაში („მისის დელოუეისა“ და „ორლანდოს“ მიხედვით)**

ინგლისელი მოდერნისტი მწერლის ვირჯინია ვულფის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემას გენდერის დისკურსი წარმოადგენს როგორც ქალურ, ისე მასკულინურ ქრილში. ამ კუთხით ავტორის ორი უმნიშვნელოვანესი რომანი – „მისის დელოუეი“ (1925) და „ორლანდო“ (1928), მიუხედავად სრულიად განსხვავებული სიუჟეტური ხაზისა, სწორედ გენდერული თემატიკით უკავშირდება ერთმანეთს. „ორლანდოში“ ნათლად იკვეთება გენდერული ბინარულობის უგულვებელყოფა, ხოლო „მისის დელოუეი“, მეტწილად, ქალურ საწყისებს წარმოაჩენს როგორც ქალი, ისე მამაკაცი პერსონაჟებისთვის დამახასიათებელ თავისებურად.

ვულფის რომანებში სახასიათოა სწორედ ქალური ნარატივი (Feminine Narrative), რომელიც აგებულია სქესის გენდერულ აღქმასა და არა ფემინისტურ მიდგომებზე. სწორედ ეს, გენდერული და არა ფემინისტური მოტივებით განხილული ქალთა ცხოვრება და, უმთავრესად, ქალური საწყისები აქცევს

„მისის დელოუეისა“ და „ორლანდოს“ გენდერის კვლევებისათვის მნიშვნელოვან ნაწარმოებებად.

წინამდებარე მოხსენება კონცენტრირდება სწორედ ამ რომანებში წარმოდგენილ მოსაზრებებზე გენდერის შესახებ. განხილული იქნება ქალური და მასკულინური სანცისები „მისის დელოუეისა“ და „ორლანდოში“, ვირჯინია ვულფის თვალთ დანახული „სრულყოფილი ადამიანი“ და, ყველაზე მნიშვნელოვანი – ვულფის ქალური ნარატივის სტრუქტურული მახასიათებლები. მნიშვნელოვანია რომანების ცალ-ცალკე გააზრება, რათა მათში გამოყენებული ქალური ნარატივის მახასიათებლები და სხვა ჩამოთვლილი კომპონენტები უკეთ გამოიკვეთოს.

## **თეონა კაციგაძე**

### **ცხოველთა სიმბოლიკა მაიას რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში**

მაიას ცივილიზაცია ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა და აქვე დასრულდა. ევროპისთვის მაიას ცივილიზაციის არსებობა კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მაიას შესწავლა და დღემდე ბევრი რამ ისევ ბუნდოვანი და საკვლევია. ჩემი მოხსენების მიზანია მაიას მითოლოგიაში და კულტურაში ცხოველთა სიმბოლიკის უკეთ გაანალიზება.

მაიას არსებობის პერიოდი მთლიანობაში მოიცავს ძვ.წ 2000 და ახ. წ. 1539 წელს. კლასიკურ პერიოდად კი ძვ.წ. 250 და ახ.წ.

900 წელია მიჩნეული. სწორედ ამ ეპოქაში ვითარდება ხელოვნება და მაიას ხალხი იძენს ცოდნას როგორც ასტრონომიაში, ასევე მათემატიკაში. არიზონას უნივერსიტეტის პროფესორ ტაკეში ინომატას კვლევით, აღმოაჩინეს უძველესი მაიას პირამიდის ადგილმდებარეობა, რაც ამ დროისთვის ვიცით. სახელად აგუადა ფენიქსი ძვ.წ პირველ ათასწლეულს ითვლის. აგუადა ფენიქსში უახლესი კვლევის ჩატარების შემდეგ, მეცნიერებმა მიაკვლიეს დაახლოებით სამოცი სანტიმეტრის სიმაღლის კირქვის პეკალის გამოსახულებას. რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა პეკალს, იგივე ჯაველინას, ჯერ დაზუსტებული არ არის.

მაიას ცივილიზაციაში განსაკუთრებული საკრალური დატვირთვა ჰქონდა იაგუარს. იაგუარი დაკავშირებული იყო მზესთან და, ამავდროულად, ღამესთან, მაშასადამე, მას შეეძლო კავშირის გაბმა ცოცხალ და მკვდართა სამყაროს შორის. მმართველები და ბელადები ხშირად იაგუარის სახელს ატარებდნენ. იაგუარის სიმბოლოს ყველაზე კარგ გამოხატულებას ვაწყდებით ჩიჩენ-იცას პირამიდაში, სადაც ბელადი იაგუარის ფორმის ტახტზე იჯდა. მაიას ხალხი, ძირითადად, ომების წარმოებით იყვნენ დაკავებული, ომში გამარჯვებასაც იაგუარის ძალას მიანერდნენ ხოლმე. ცხოველთა გამოსახულებებს, ასევე, ვხვდებით მაიას ქალაქ უშმალში, დღევანდელ მექსიკაში, სადაც მაიამ ააგო „კუების ქალაქი“ და დიდი პირამიდის ფასადზე გამოსახულია თუთიყუში. კუ მაიას რწმენა-წარმოდგენაში სიცოცხლის დამცველი იყო.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მაიას კულტურაში აღმოჩენილი ცხოველების სიმბოლიკაზე, თუ რომელ ღვთაებას და მოვლენებს უკავშირებდნენ კონკრეტულ ცხოველებს.

## ანა კეხივაძე

### ენგრიდან მან რეიმდე: ვალპინსონის მობანავე ქალი

ფრანგული ნეოკლასიციზმის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლის, ჟან ოგიუსტ დომენიკ ენგრის მრავალმხრივი შემოქმედება, არაერთ მხატვრულ ჟანრს მოიცავს. მათ შორისაა პორტრეტების მთელი სერია და ისტორიულ თემაზე შექმნილი არაერთი ცნობილი ტილო. თუმცა, მხატვრის განსაკუთრებული პოპულარობა არა მხოლოდ თანამედროვეთა, არამედ მომდევნო თაობის მხატვართა შორის, იმ სურათებმა განაპირობა, რომლებზედაც ენგრის მიერ შიშველი ქალის სხეული იმ დროისათვის სრულიად განსხვავებული ესთეტიკითაა გადმოცემული. ამ ნამუშევართა შორის, გამორჩეული ადგილი უკავია *ვალპინსონის მობანავე ქალს*, რომელმაც ეს სახელწოდება მოგვიანებით, მისი ერთ-ერთი მფლობელის გამო მიიღო. 1806 წელს შესრულებულ ტილოზე მაყურებლისკენ ზურგშექცევით მჯდარი შიშველი ქალია გამოსახული, რომლის თავსაბურავი და კომპოზიციაში ჩართული აქსესუარები ამ პერიოდის საფრანგეთში პოპულარული „ორიენტალიზმის“ კონტექსტშია განხილული. შემთხვევითი არ არის, რომ *ვალპინსონის მობანავე*, ენგრის 1862 წელს შექმნილი სურათის, *თურქული აბანოს* პერსონაჟების პროტოტიპადაც იქცა. სურათის შექმნიდან თითქმის ასი წლის შემდეგ, *ვალპინსონის მობანავე*, ცნობილი სიურრეალისტი ხელოვანის, მან რეის ინსპირაციის წყარო გახდა, რაზედაც პირდაპირაა მინიშნებული მისი ცნობილი ფოტოს, *ენგრის ვიოლინოს* სახელწოდებაში. ფოტოზე, მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგული ბოჰემის ცნობილი სახე, კიკი დე მონპარნასი, თითქმის იმეორებს ენგრის სურათის

პერსონაჟის პოზას. მოხსენებაში განხილული იქნება როგორც ენგრის ვალბინსონის მობანავის შექმნის ისტორია, ასევე ის მიზეზები, რომელმაც განაპირობა მისი სიურეალისტური რეინტერპრეტაცია მან რეის ვერსიაში.

## **მახიამ კობხეიძე**

### **სარდიონის მძივები გრაკლიანი გორიდან**

პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული, მძივი არის ერთ-ერთი გამოხატულება ადამიანის ესთეტიკური და სულიერი დამოკიდებულებისა საგნების მიმართ. ადამიანმა სამკაულის, კერძოდ მძივების დამზადება თავდაპირველად ძვლის, თიხისა და სადაფისგან დაიწყო, დროთა განმავლობაში სხვა მინერალების გამოყენებასაც იწყებს, მაგალითად, ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული უკვე ვხვდებით სარდიონს, აქატს, ხოლო, შუა ბრინჯაოს ხანიდან, ამ მინერალებთან ერთად, ჩნდება მთის ბროლი და ამეთვისტო, პირველად ვხვდებით გიშერს, ქარვას და ანთიმონს. წინამდებარე ნაშრომი ეხება სარდიონის მძივებს გრაკლიანი გორიდან. ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული სარდიონის მძივ-საკიდები დადასტურებულია სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გათხრილ თითქმის ყველა სამაროვანზე და ზოგ ნამოსახლარზე. საქართველოს ტერიტორიაზე კვარციტ-აქატ-ქალცედონის 43 დიდი და მცირე საბადო არსებობს. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ და შესწავლილ სამარხებში სარდიონის მძივები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება. თავდაპირველად ეს მძივები შემოტანილად ითვლებოდა, თუმცა შემდგომი სამეცნიერო კვლევების შედეგად

დადგინდა, რომ ჩვენს ტერიტორიაზეც არსებობდა სარდიონის სახელოსნოები და მძივები ადგილობრივ ნამზადს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ საინტერესოა გრაკლიანი გორის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მძივების განხილვა, ანალოგების მოძიება და სხვა სამაროვნებზე აღმოჩენილ მასალასთან შედარება, რაც დაგვეხმარება იმის დადგენაში ადგილობრივია თუ შემოტანილი აქ აღმოჩენილი მძივები, ასევე, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სარდიონის მძივების სახელოსნოების კვლევის საკითხთან დაკავშირებით. სწორედ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მძივების დეტალური ანალიზით და მათი ერთ სისტემაში მოქცევითაა შესაძლებელი იმის დადგენა, ეს მძივები ერთი სახელოსნოს ნამზადს წარმოადგენენ თუ კიდევ არსებობდა სახელოსნოები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი.

## **ნინო კუცია**

### **ეპიფანიის მხატვრული ფუნქციის შედარებითი ანალიზი მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ბრიტანულ ლიტერატურაში**

მოხსენებაში გაანალიზებული და შედარებულია ეპიფანიის მხატვრული დანიშნულება მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ბრიტანულ ლიტერატურაში. კვლევის პროცესში შევისწავლე ეპიფანია, როგორც დასავლურ ქრისტიანულ კულტურაში ქრისტეს სიმბოლო; ასევე ეპიფანია, როგორც დიდი და უეცარი გამოაშკარავების მომენტი ადამიანის გონებაში – სრულიად მოცული და წალეკილი ფიქრებით.

საილუსტრაციო მაგალითები აღებულია ჯეიმზ ჯოისის მოთხრობათა კრებულიდან „დუბლინელები“, განსაკუთრებით კი ბოლო, დასკვნითი მოთხრობიდან „მკვდრები“. მოდერნისტი მწერალი ამ ერთი მოთხრობითაც კი ნათლად გვიჩვენებს ეპიფანიის სხვადასხვა ფორმებს, გრეტასა და გებრიელის სულიერი პორტრეტების დახატვით. პოსტმოდერნიზმიდან განვიხილავ ირლანდიელ-ინგლისელი მწერლის, უილიამ ტრე-ვორის მოთხრობების კრებულს, „ნანვიმარზე“, სადაც პერსონაჟები განიცდიან გაუცხოებით გამოწვეულ ყოფას და მიიღვივან სულიერი განახლებისკენ, ეპიფანიისკენ, რომელსაც საზოგადოება ინდიფერენტულად ხვდება. ტრევორის მოთხრობათა კრებულში ეპიფანიის სასწაულის სინამდვილეში არსებობა/არარსებობის საკითხი ირონიულ ელფერს სძენს პერსონაჟების მდგომარეობას და განიხილავს მათ რეალისტურ სამყაროში დაბრუნება/არდაბრუნების პრობლემას.

ეპიფანიის საკითხი აქტუალობას დღესაც რომ არ კარგავს, ამას მოწმობს ტრევორის 2020 წელს პირველად გამოცემა ქართულ ენაზე. ორივე ზემოხსენებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას ადამიანის „ძრწოლა“ აინტერესებს, რომლითაც ასე ინტერესდება დღეს მკითხველი.

საკვლევი საკითხი, მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ბრიტანულ ლიტერატურაში მწერლების წერის ტექნიკის, ჟანრული თავისებურებებისა და საკითხების დანიშნულებიდან გამომდინარე, შესწავლილია ეპიფანიის მხატვრული ფუნქციის შედარებითი ანალიზით, რომელიც გულისხმობს: 1) ეპიფანიის სასწაულის ირონიზების აღწერას, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, ფარსსაც კი აღწევს; 2) მის ემოციურ და ინტელექტუალურ გააზრებას და 3) იმას, თუ რამდენადაა შესაძლებელი ეპიფანიის ბოლომდე განცდა პერსონაჟებისათვის.



## ცოცხე დაცაბიძე

### **„და ელოჰიმა შექმნა ადამი“: უილიამ ბლეიკისეული ინტერპრეტაცია**

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ინგლისელი პოეტი, მხატვარი და გრაფიორი უილიამ ბლეიკი, დიდი ბრიტანეთის მთელ ისტორიაში, 100 ყველაზე გავლენიან და მნიშვნელოვან მოღვაწეებში, საპატიო 38-ე ადგილს იკავებს. მისი ასეთი შეფასება, ამ დიდი პოეტისა და ხელოვნის თანამედროვეთათვის უცნაურმა და წინასწარმეტყველურმა შემოქმედებამ განაპირობა. ბლეიკმა გაცილებით ადრე განჭვრიტა ის ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რომელთა წინაშე XX-XXI საუკუნეების მსოფლიო საზოგადოება აღმოჩნდა. შემთხვევითი არ არის, რომ მის ნაწარმოებებსა და მათ ილუსტრაციებში გაჟღერებული და ვიზუალიზებული ზოგადსაკაცობრიო თემები, მათ შორის, ანტირასიზმი, სიყვარულის თავისუფლება თუ გენდერული თანასწორობა, განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა XX საუკუნის 60-70 იანი წლების ახალგაზრდა პროტესტანტი ამერიკელი ინტელექტუალების: ალან გინზბერგის, ზოზ დილანის, ჯიმ მორისონისა და სხვათათვის. ყველაზე დიდი გავლენა ბლეიკის მიერ ბიბლიის მისტიკურმა და განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ მოახდინა, რომელიც არაერთი თანამედროვე ხელოვნის შთაგონების წყარო გახდა. ბლეიკის ილუსტრირებული ბიბლიური სიუჟეტებიდან, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადამის შექმნის სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია. მოხსენების მიზანია უილიამ ბლეიკის ილუსტრაციის: „და ელოჰიმა შექმნა ადამი“, კომპარატიული ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს ამ საკვანძო ბიბლიური სიუჟეტის ვიზუალური კონცეფცია.

## **მახიამ დეგაშვიდი**

### **მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის ფრანგული საზოგადოების სარკე: თეოდორ ჟერიკოს „მედუზას ტივი“**

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე ფრანგი რომანტიკოსი მხატვრის, თეოდორ ჟერიკოს შემოქმედება, იმ პერიოდის საფრანგეთში მიმდინარე ურთულეს პოლიტიკურ პროცესებს დაემთხვა: პოლიტიკური კლიმატი ნაპოლეონის იმპერიასა და მონარქიას შორის მერყეობდა. ძალაუფლების ცვლას, საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებაც მოჰყვა. ეს რთული პროცესი სარკესავით აირეკლა კულტურასა და ხელოვნებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია თეოდორ ჟერიკოს ყველაზე ცნობილი მხატვრული ტილო: „მედუზას ტივი“, რომელზე გამოსახული სიუჟეტიც, რეალურ ამბავს ასახავს. სურათზე გადმოცემულია ფრანგული ფრეგატის, „მედუზას“ ისტორია, როდესაც არაკომპეტენტური და გამოუცდელი კაპიტნის დანიშვნის გამო, გემმა კატასტროფა განიცადა, მასზე მყოფი მეზღვაურები კი, რომლებიც საზოგადოების დაბალ ფენას წარმოადგენდნენ, ზღვაში განსაცდელის პირისპირ მარტო მიატოვეს. მხატვარმა განსაკუთრებული სიმძაფრით ასახა სასონარკვეთილი ადამიანების ბრძოლა გადარჩენისთვის. პარიზის სალონში გამოფენილმა ჟერიკოს ნამუშევარმა საზოგადოების შოკირება მოახდინა, რადგან მასში არა მხოლოდ რეალურად მომხდარი მოვლენა, არამედ ფრანგული საზოგადოების მერყევი სურათიც დაინახეს. სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლები კი მოწინააღმდეგეთა გასაკრიტიკებლად, სურათის მათთვის სასარგებლო ინტერპრეტირებას ახდენდნენ. მოხსენებაში

განხილული იქნება როგორც თეოდორ ჟერიკოს „მედუზას ტივის“ პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტი, ასევე მისი მნიშვნელობა ფრანგულ ხელოვნებაში რომანტიკული მიმდინარეობის განვითარებისთვის.

## **მიხეიდ დეჟავა**

### **„სერასქერ სულთანი“ – იბრაჰიმ ფაშა**

XVI საუკუნის 20-იან წლებში, ოსმალეთის იმპერია ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა იმდროინდელ მსოფლიოში. სწორედ ამ დროს მიმდინარეობს ოქროს ხანა, რაც ჩვენთვის სულთან სულეიმანის მმართველობის სახელთანაა დაკავშირებული. მის გამეფებამდე სასულთნოს ყურადღება მთლიანად მიჰყრობილი ჰქონდა ახლად შექმნილ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებაზე, რომელსაც სეფიანთა დინასტია ედგა სათავეში. სულეიმანმა კი, ტახტზე ასვლისთანავე, უმაღვე გადაწყვიტა დასავლური დაპყრობითი ომების განახლება. სწორედ ამ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი პიროვნება, რომელმაც დაიმსახურა თიკუნი **makbul** (ფავორიტის) სახელი. იგი ელვისებურად დანიანაურდა ოსმალურ ბიუროკრატიულ სისტემაში, მალევე მოექცა სახელმწიფოს სათავეში და მიიღო თითქმის ისეთივე ძალაუფლება, როგორც ოსმალეთის იმპერიის ფადიშაჰს გააჩნდა. ამით იგი ნამდვილად გამორჩეულია ისტორიაში. დასახელებულ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკას მთლიანად განსაზღვრავდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი – დასავლეთის დაქუცმაცებული სახელმწიფოების დაპყრობა, რომელიც რომისკენ გახსნიდა გზას და მეორე – აღმოსავლეთის საკითხი, სეფიანთა ირანის დასავლეთ ნაწილის შეერთება.

ამდენად, ჩვენი მოხსენება მიზნად ისახავს XVI საუკუნის 20-30-იანი წლების ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის, დაპყრობების და დიპლომატიური მომგებიანი მოლაპარაკებების წარმართვას დიდი ვეზირის იბრაჰიმ ფაშას მიერ. ამავდროულად, ყურადღების ღირსია სულთან სულეიმანის წარმატებული მოღვაწეობის შეფასება იბრაჰიმ ფაშას დროს და მის შემდეგ.

## **მეხიკო მიხინაშვიდი**

### **საპნის დამზადების ტრადიცია სოფელ შილდაში**

ადამიანებმა უხსოვარი დროიდან დაიწყეს საკუთარ ჰიგიენაზე ზრუნვა. ამ დროისთვის ჰიგიენის ნორმები, ჰიგიენური საშუალებების მოპოვებისა და დამზადების წესები მარტივი იყო. სოციალური ყოფისა და ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა იქონია თავის მოვლის საშუალებების დამზადების ტექნიკაზე და მრავალფეროვანი გახადა ის. დღეისთვის მსოფლიოში არაერთი სანარმოა, რომელიც ჰიგიენურ საშუალებას, საპონს ამზადებს, თუმცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, თავიანთი ხელით, სახლში დამზადებული საპნის მოხმარებას ამჯობინებს. საქართველოში სახლში საპნის დამზადების ტექნიკა უძველესი დროიდან იყო განვითარებული და ეს ტრადიცია დღემდე არსებობს. კახეთის სოფელ შილდაში დღესაც ცოცხალია საპნის შინ დამზადების ტექნიკა. რამდენიმე ოჯახი დღემდე, გაზაფხულის დადგომისთანავე, მთელი წლის მარაგ საპონს ამზადებს. სოფლის მოსახლეობას არ აქვს საპნის სახლში დამზადების საჭიროება, ის ტრადიციის ნაწილია. კვლევა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ სოფლის მოსახლეობის ტრადიციულ ხედვებს ჰიგიენასთან

დაკავშირებით და მასთან დაკავშირებულ ნორმებსა და ქცევის წესებს. საკითხის შესახებ არსებობს საყოფადღებო სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა სოფელ შილდაში დღემდე არსებული ჩვეულების შესახებ ინფორმაცია არ არის სამეცნიერო მიმოქცევაში. მოხსენება ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზსა და მონაწილე დაკვირვების, ინტერვიუებისა და ვიზუალური კვლევის მეთოდების მეშვეობით ჩემ მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალას.

### **ეკატეხინე მუშკუდიანი**

#### **XIX საუკუნის შუა ხანები, როგორც საეტაპო მომენტი, ბატონყმობის გაუქმება და კაპიტალიზმის გავრცელება საქართველოში**

XIX საუკუნე დატვირთულია მნიშვნელოვანი ცვლილებებით საქართველოს ისტორიაში, ამ პერიოდში იწყება ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და ქართული ტერიტორიების რუსეთის იმპერატორის მმართველობაში შესვლა. ქვეყნის „რუსულ ყაიდაზე“ ადმინისტრაციულად დაყოფა და მათ სათავეებში რუსი მმართველების ჩაყენება. XIX საუკუნის პირველი მესამედი რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივი ომებით და შიდა არეულობებით გამოირჩეოდა, რომლის სიმძიმე, ძირითადად, დაბალ ფენას, გლეხობას აწვა ტვირთად. ფეოდალური ექსპლოატაცია კი მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

ომების წარმატებით დასრულების შემდგომ, ქვეყანაში შედარებით მშვიდობა დამყარდა და მწარმოებელი კლასიც საკუთარ საქმიანობას დაუბრუნდა. XIX საუკუნის შუა ხანებში

დაინყო მნიშვნელოვანი ძვრები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, კერძოდ იმ დროს გავრცელებულ ბატონყმურ სოციალურ წყობილებაში. პირველ რიგში, საყურადღებოა თვითონ ბატონყმობის დებულება, რას მოიცავს ბატონისა და ყმის ცნება, რა ურთიერთობები და ვალდებულებები აქვთ მათ ერთმანეთის მიმართ. შემდგომ თუ რა ცვლილებები მოახდინა რუსული ხელისუფლების აპარატის შემოსვლამ ბატონყმურ ურთიერთობებში და კონკრეტულად რამ შეუქმნა საფუძველი ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და გავრცელებას საზოგადოებაში, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური დისკურსის გათვალისწინებით. რის საფუძველზე დაინყო გლახობამ ეტაპობრივად სხვადასხვა რეგიონებში აჯანყებები, რომელიც მიზნად ისახავდა ბატონყმობის გადაგდებას, რასაც მნიშვნელოვანი საადგილმამულო, საქალაქო და სასამართლო რეფორმები მოჰყვა.

საბოლოოდ, რა წინაპირობები ჰქონდა კაპიტალისტური საზოგადოების კლასების ჩამოყალიბებას და რა მნიშვნელოვანი სიახლეები ახლდა მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხში.

## **დუკა ნებიეჩიძე**

### **ალექსანდრე I დიდის გამეფების თარიღის საკითხისათვის**

ალექსანდრე I დიდი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მეფეა. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებ მისი გამეფების თარიღზე, რომელთან დაკავშირებითაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი ფუნდამენტური კვლევაა ჩატარებული,

ერთი სარგის კაკაბაძის, ხოლო მეორე – ივანე ჯავახიშვილის მიერ. ბატონმა სარგისმა 1413, 1417 და 1440 წლების სიგელ-გუჯრების შესწავლის შედეგად, ალექსანდრე დიდის გამეფების თარიღად მიიჩნია 1412 წლის 11-19 სექტემბერი. ივანე ჯავახიშვილი საკითხის გადასაჭრელად, ასევე, ამოსავალ წერტილად თავად მეფის საბუთებს მიიჩნევდა, შესაბამისად, XV საუკუნის სიგელ-გუჯრებზე დაყრდნობით, ის ალექსანდრეს ტახტზე ასვლის თარიღად 1412 წლის 20 თებერვალსა და 21 მარტს შორის არსებულ დროს მიიჩნევდა. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები დღემდე ფართოდაა გავრცელებული ქართულ ისტორიოგრაფიასა და სხვადასხვა სახის სამეცნიერო ნაშრომებში. ალექსანდრე I დიდის გამეფების თარიღთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამაჩნია. ზემოთ დასახელებული ავტორების მსგავსად, რა თქმა უნდა, მეც ვთვლი, რომ ზუსტი თარიღის დასადგენად განსაკუთრებული ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ ალექსანდრე მეფის საბუთებს, რომლებსაც, ბოლოში მეფობის ინდიქტიონი და საბუთის დაწერის დრო აქვს მითითებული, მაგრამ აღსანიშნავია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ალექსანდრეს მამის კონსტანტინე პირველის გარდაცვალების ზუსტი თარიღი, რომლის დადგენაშიც გვეხმარება როგორც ქართული (ამ შემთხვევაში ზევდგინიძეთა სიგელი) ასევე, აღმოსავლური და სპარსულენოვანი წყაროები, რომელთა შეჯერების შედეგად ნათელი ხდება, რომ კონსტანტინე გარდაიცვალა 1412 წლის დეკემბერში. სავარაუდოდ, ალექსანდრე სამეფო ტახტზე მამის გარდაცვალებიდან მცირე ხანში უნდა ასულიყო. საკითხის გადაწყვეტისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, ალექსანდრეს მიერ მოჭრილ მონეტასაც, რომელზედაც ქორონიკონია დატანილი, სავარაუდოდ, მისი გამეფების თარიღით.

ჩემი აზრით, ალექსანდრეს გამეფების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1413 წლის 1-5 იანვარს შორის არსებული დროის მონაკვეთი. მოცემული მოსაზრება ზემოთ ნახსენები სპარსულენოვანი წყაროების გარდა, ძირითადად, დამყარებულია ალექსანდრე დიდის მიერ გაცემულ 1428 და 1440 წლების და, ასევე, 1413 წლის ორი საბუთის მონაცემებზე. საისტორიო წყაროებსა და სამეფო სიგელებში მოცემული ცნობების ანალიზის შედეგად გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ალექსანდრე I დიდი სამეფო ტახტზე, შესაძლოა, არა 1412 წლის თებერვალ-მარტში, ან სექტემბერში, არამედ 1413 წლის დასაწყისში ასულიყო.

## **ნანა ნიკვაშვილი**

### **შემოქმედებითობიდან არტისტობამდე: ხელოვნება, როგორც შემოსავლის წყარო**

უძველესი დროიდან დღემდე ადამიანები საკუთარი ფიქრებისა თუ შეხედულებების გამოსახატად თითქმის ყოველთვის მიმართავდნენ ხელოვნებას და მას სხვადასხვა დარგის საშუალებით გვაცნობდნენ. საუკუნეების განმავლობაში ხელოვნების დარგები იმდენად განვითარდა, რომ შესაძლებელი გახდა მათი შემოსავლის წყაროდ ქცევა. თუკი შუა საუკუნეებში ხელოვან ადამიანებს არცთუ ისე დიდი ანაზღაურება ჰქონდათ არსებობისათვის, დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში, ხელოვანების უმეტესობას უკვე შეუძლია თავისი შემოქმედება ცნობილი და მომგებიანიც გახადოს საზოგადოებისთვის.

ჩემი მიზანია, აღნიშნულ მოხსენებაში წარმოვადგინო შემოქმედებითი ადამიანების შემოსავალი წარსულისა და დღე-



ვანდებლობის პერსპექტივაში და ნათელი გავხადო საზოგადოებისათვის ყველა ის გამოწვევა თუ პრობლემა, რომელთაც ხელოვანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებიან. გარდა საზღვარგარეთისა, მე ვისაუბრებ საქართველოს მაგალითზეც და გავავლებ პარალელებს, თუ როგორ ცხოვრობენ XXI საუკუნის არტისტები სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მოხსენებისა და კვლევის სრულყოფილად წარმოსაჩენად გამოვიყენებ როგორც პირველად, ისე მეორეულ და მესამე ხარისხოვან წყაროებს, რომელთაც ობიექტურად და კრიტიკულად განვიხილავ.

## **მაჩიამ ნოზაძე**

### **საბედისწერო ნადირობა ზღაპარსა და ბალადაში (შედარებითი ანალიზი ქართული ფოლკლორული მასალის მიხედვით)**

საქართველოში ნადირობის ტრადიცია უძველესი დროიდან არსებობს. ნადირობასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენა, ტრადიცია, რიტუალი და წეს-ჩვეულება. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ნადირობა, ამას ადასტურებს ამ პროცესის ასახვა ფოლკლორულ შემოქმედებაში.

ნადირობის თემატიკა გვხვდება ზღაპრებში, ბალადაებში, ეპოსსა და ლირიკულ პოეზიაში. მხატვრულ გამონაგონში რეალური ამბავი განსხვავებულად ტრანსფორმირდება. ასეა ნადირობის შემთხვევაშიც. ზღაპრები, ბალადაები, რომლებშიც მთავარი თემა ნადირობაა, კანონიკური, სისტემური სახე აქვთ. ისინი ემორჩილებიან გარკვეულ სტრუქტურას.

მოხსენებაში დასმულია საკითხი რა განსხვავებაა იმ ბალადაებსა და ზღაპრებს შორის, რომლებშიც მთავარი მო-

ტივი ნადირობაა. ორივე შემთხვევაში – ზღაპარშიც და ბალადაშიც – ნადირობას საბედისწერო შედეგი მოაქვს. სიუჟეტი მთავარი გმირის გარშემო ვითარდება. ბალადაშიც, ზღაპარშიც ამბავი იწყება მას შემდგომ, რაც გმირი სახლს ტოვებს (მიზანმიმართულად თუ იძულებით). სიუჟეტში შემოდის სხვადასხვა პერსონაჟი. ისინი გმირის შემწენი ან მეტოქეები არიან. ბალადა, ზღაპრისგან განსხვავებით, მძაფრი სიუჟეტით გამოირჩევა, ხშირად დასასრული ტრაგიკულია, სანადიროდ წასული გმირი იღუპება. ზღაპარი კი შეუძლებელია ტრაგიკულად დასრულდეს, ის ყოველთვის მთავარი გმირის სასიკეთოდ მთავრდება. ამ მიზანს კი სხვადასხვაგვარად აღწევს ან თავისი გამჭრიახობით ან შემწეთა დახმარებით. ისევე, როგორც ბალადის გმირის გზა, ზღაპრისაც სავსეა დაბრკოლებებით.

მოხსენების მიზანია, გავმიჯნოთ ზღაპრისა და ბალადის ჟანრი იმ განსხვავებათა ჩვენებით, რაც სამონადირო თემატიკას უკავშირდება.

## **მეხი უღუმბელაშვილი**

### **ინგლისური ზმნის dare სემანტიკისათვის**

ნაშრომი განიხილავს თანამედროვე ინგლისური ზმნის *dare* ზოგად სემანტიკურ მახასიათებლებს სინქრონული და დიაქრონული პერსპექტივიდან. კვლევის საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ისტორია, თეორიული გრამატიკა და სემანტიკა.

ემპირიული მასალა მოძიებულ იქნა ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და ინტერნეტრესურსებიდან.

თეორიული მასალის შესწავლამ და ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ პროტო-ინდოევროპული წარმოშობის ლექსიკურმა ერთეულმა *dare* განიცადა გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილებანი:

1. სტრუქტურის თვალსაზრისით, ძველ ინგლისურში არსებული პრეტერიტო-პრეზენტული ზმნა გარდაიქმნა და თანამედროვე ინგლისურში იგი ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც მოდალური, არამედ, ასევე, როგორც სრულმნიშვნელობიანი ზმნა.

2. სემანტიკური თვალსაზრისით, დროთა განმავლობაში ლექსიკური ერთეულის დენოტაციური მნიშვნელობა გაფართოვდა. პირველად მნიშვნელობას (იყო მამაცი, გაბედული) დაემატა სხვა პირის გამოწვევის მნიშვნელობა (1570-იანი წლები) და, რიგ შემთხვევაში, ზმნამ შეიძინა უარყოფითი კონოტაციაც.

## **ნეხიკა სეხნიაშვილი**

### **წყლის ტრანსპორტის აღმნიშვნელი სიტყვები ინგლისურ და ქართულ ენებში**

წყლის ტრანსპორტის აღმნიშვნელი სიტყვები, როგორებიცაა გემი, ნავი, ხომალდი (ship, boat) აქტიურად გამოიყენება როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სამწერლო ენაშიც. მოხსენებაში წარმოდგენილი ემპირიული მასალა ეყრდნობა ავტორიზებულ ლექსიკონებს, ხოლო თეორიული – ინგლისური ენის ისტორიის, ლექსიკოლოგიისა და გრამატიკის სახელმძღვანელოებს. მოხსენებაში განხილულია სიტყვების: გემის, ნავის, ხომალდის მნიშვნელობები, ნაჩვენებია თუ როგორ

გამოიყენება ეს სიტყვები სიტყვათწარმოებაში, იდიომებში, ანდაზებსა და სიტყვათა კომბინაციებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკვეთილი იქნება ის მსგავსება-განსხვავებები ინგლისურ და ქართულ ენებს შორის, რომლებიც ამ სიტყვებიდან გამომდინარე არსებობს. ამ ყველაფრის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად აქტიურად იქნება გამოყენებული ემპირიული მასალა როგორც ცოცხალი მეტყველებიდან, ისე მხატვრული ლიტერატურიდან.

ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ განხილულ სიტყვებს და, ზოგადად, საზღვაო ტრანსპორტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით ბრიტანეთისთვის, და ეს მნიშვნელოვნება კარგად აისახა ენაშიც, თუნდაც სიტყვა გემთან დაკავშირებული იდიომების სახით. მაგრამ მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მსგავსებასთან ერთად არსებობს განსხვავებებიც, რომლებიც საკმაოდ თვალსაჩინოა.

## **მაჩიამ ქვდივიძე**

### **შუამთის მონასტერთან დაკავშირებული გადმოცემები და მათი ასახვა ლიტერატურაში**

ფოლკლორისა და ისტორიული სინამდვილის ურთიერთმიმართების საკითხი ანტიკური პერიოდიდან დღემდე საკმაოდ აქტუალურია. ისტორიული სინამდვილის დადგენის პროცესში ფოლკლორი, როგორც ისტორიული წყარო, არ გამოდგება, თუმცა ისტორიული ეპოქისა, თუ ხალხის აზროვნების შეცნობისთვის ზეპირსიტყვიერება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დიდი ქართველი ისტორიკოსები ხშირად მიმართავდნენ ფოლკლორს ისტორიული პერიოდის სურათის

აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის. ფოლკლორის ხასიათიდან გამომდინარე, რომ მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ანაქრონიზმი, ისტორიულ პიროვნებათა გაიგივება, ორი ან მეტი ისტორიული პირის ერთ გმირში გააზრება (შავლეგო-შალვა და ივანე ახალციხელები), არ შეგვიძლია ჩვენი ზეპირსიტყვიერების ისტორიულ დოკუმენტად გამოყენება, მაგრამ მისი უგულებელყოფა ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის პროცესში დაუშვებელია. დღეს, როცა უკვე ხელი მიგვიწვდება ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტზე, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას კონკრეტულ ისტორიულ პირსა თუ მოვლენაზე, შეგვიძლია ისინი განვიხილოთ ხალხისეული გადააზრების გვერდით, გამოვყოთ მათი საერთო და განმასხვავებელი დეტალები და ამოვხსნათ მათი მხატვრული სიმბოლიკა.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ის ისტორიული ჩანაწერები, რომლებიც დღეს ჩვენამდეა მოღწეული, ხალხური შემოქმედებისა და გადმოცემების დიდ გავლენას განიცდის. ეს ყველაფერი კი საოცრად დახვეწილად და ჰარმონიულად იყრის თავს XX საუკუნის ქართველი მოდერნისტი მწერლის, ვასილ ბარნოვის, შემოქმედებაში, რომელიც ქართული ისტორიული რომანების ფუძემდებლადაა მიჩნეული.

მოხსენებაში განხილულია ისტორიული ძეგლის, შუამთის მონასტრის, შესახებ არსებული ცნობები „ქართლის ცხოვრებიდან“, ბერი ეგნატაშვილის ჩანაწერებიდან და რა თქმა უნდა, ზეპირსიტყვიერი გადმოცემებიდან, მათი ურთიერთმიმართება, მსგავსება-განსხვავება და ამ ისტორიული თუ ფოლკლორული მოტივების გადასვლა ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანში „მიმქრალი შარავანდედი“.

## მედეა ქუხლობაძე

### კრებითი არსებითი სახელი „ჯოგი“ და მისი სინონიმები ინგლისურსა და ქართულში

ინგლისური კრებითი არსებითი სახელი **herd** ძალზედ საინტერესო ეტიმოლოგიით გამოირჩევა, რომლის დიაქრონიული განვითარების ჭრილში შესწავლა გვიქმნის მკაფიო წარმოდგენას იმაზე, თუ რა ცვლილებები განიცადა ამ სიტყვამ, დაწყებული პროტო ინდოევროპულიდან თანამედროვე ინგლისურის ჩათვლით, ლექსიკურ თუ მორფოლოგიურ დონეზე. სწორედ აღნიშნული წარმოდგენს მოხსენების მთავარ საკვლევ საკითხს. უფრო კონკრეტულად, მოხსენებაში განხილულია ინგლისური კრებითი არსებითი სახელის **herd** მნიშვნელობები ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მეტი დამაჯერებლობისა და სანდოობისათვის მოხმობილია შესაბამისი ციტატები არგუმენტების სახით როგორც სამეცნიერო ნაშრომებიდან, ასევე მხატვრული ლიტერატურიდან. ამასთანავე, მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორი სიტყვათწარმოებით ხასიათდება ზემოხსენებული ინგლისური კრებითი არსებითი სახელი **/herd/**. კერძოდ, მოხსენებაში აღნიშნულია და განხილულია **herd**-ისგან ნაწარმოები რთული შედგენილი არსებითი სახელები და იდიომატური გამოთქმები. ასევე, პარალელი გავლებულია და ეს ყოველივე შედარებულია **herd**-ის ქართულ შესატყვის კრებით არსებით სახელთან /ნახირი/, მათ შორის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენისა და კვლევა-შეფასების მიზნით. ასევე, მოხსენებაში მოკლედ არის განხილული სხვა კრებითი სახელები (მაგალითად, **flock, swarm, gang, pack, drove**, ფარა, ხროვა, კოლტი...), რომლებიც ფიქსირდება ქართულსა და ინგლისურში და მათი შედარების

საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. რაც შეეხება გამოყენებულ წყაროებს, ემპირიული მასალა მოხმობილია ავტორიზებული ლექსიკონებიდან, ხოლო თეორიული მასალის მოსაპოვებლად გამოყენებულია ლექსიკოლოგიის, ინგლისური ენის ისტორიისა და გრამატიკის სახელმძღვანელოები. მოპოვებული მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ კრებითი არსებითი სახელი /herd/ და მისი ქართული შესატყვისი -/ნახირი/, ბევრ კონტექსტში ერთმანეთის ეკვივალენტურები არიან, მაგრამ მათ ერთმანეთის აბსოლუტურ შესატყვისს ლექსიკურ ერთეულებად ვერ ჩავთვლით, რადგან მათი დერივაციული პოტენციალი და სემანტიკა ყველა კონტექსტში ერთმანეთს არ ემთხვევა.

## **ნინო ქუქიშიძე**

### **ათენგენობა ხევში (გარბანი, სნო, სიონი)**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში მდებარეობს და ის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის – ხევის ტერიტორიას მოიცავს. ცნობილია, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობა მყისიერად არ გავრცელებულა და შემდგომ პერიოდში ადგილობრივი ტრადიციები ქრისტიანულ წესებს მოერგო. დღესაც კი არაერთი ასეთი ტრადიციული დღეობაა შემორჩენილი აღნიშვნის დამახასიათებელი რიტუალებით. ასეთია მაგალითად, ათენგენობის დღესასწაული, რომელიც ძირითადად სამ სოფელში: გარბანში, სნოსა და სიონში აღინიშნება. თარიღი მოძრავია და აღდგომის დღესასწაულიდან 99-ე, მე-100 ან 101-ე დღეს აღინიშნება.

წარმოდგენილი მოხსენებისთვის კონკრეტული დღეობა შერჩეულია იმის გამო, რომ ხალხის მახსოვრობაში დარჩენილი

ტრადიციული ხალხური დღესასწაულიდან იგი ტრანსფორმირდა ქრისტიანულ მართლმადიდებლურ დღესასწაულად, და დაუკავშირდა წმ. მოწამე ათენოგენეს სახელს, მაშინ როცა ძველი თაობის მეხსიერებაში სალოცავი ჯერ კიდევ წმ. გიორგის სახელს უკავშირდება. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ამ დღესასწაულის აღწერა თვალსაჩინო მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორ ერგება დროსა და სივრცეს ხალხური დღეობები და რიტუალები მთაში, კერძოდ კი ხევში.

## **ღუკა ყუჩუა**

### **ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებების შედარებითი ანალიზი**

შორეულ წარსულში ჩინეთში ჩამოყალიბდა ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის როგორც ისტორიულ და იდეოლოგიურ, ისე კულტურულ განვითარებაზე. რთულია ჩინური აზროვნების სანყისი მახასიათებლების გამოვლენა, თუმცა ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით მათი იდენტიფიცირება გარკვეული დოზით შესაძლებელია. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია სამ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებაზე. ესენია: კონფუციანელობა, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი ჩინელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი კონფუცი (ძვ.წ 551-479); დაოიზმი, რომელიც ლაო ძიმ ჩამოაყალიბა ძვ.წ მე-6 საუკუნეში და ბუდიზმი, რომელმაც ინდოეთიდან ჩინეთში შეაღწია ახ. წ. პირველ საუკუნეში. ხსენებული მოძღვრებების განხილვის საფუძველზე, წარმოჩენილია თითოეული მათგანის მიდგომა ადამიანთა თანასწორობის საკითხისადმი, მათი ზეგავლენა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ასევე



კულტურაზე, რომელსაც აღნიშნული რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებები დამოუკიდებლად ქმნიდნენ და, იმავედროულად, ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს ერწყმოდნენ.

ზოგადად, ჩინეთის სულიერი ფასეულობები ცალკეულ პიროვნებას წარმოაჩენენ ისე, რომ არ განარჩევენ ერთმანეთისგან არატრადიციული სარწმუნოების მიმდევრებს და ათეისტებს. აღნიშნული თვალსაზრისი უშუალოდ ესადაგება დღევანდელ ჩინურ რეალობას, თუმცა, ისტორიულ წარსულში დამოკიდებულება განსხვავებული იყო და ხშირად იცვლიდა თავის სახეს. მიზეზი კი, ძირითად შემთხვევაში, რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირებები იყო. ამჯერად ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს აღნიშნული რელიგიების ზეგავლენის წარმოჩენა პოლიტიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ და კულტურულ სფეროებზე. შესაბამისად, ერთმანეთთან შედარებულია კონფუციონიზმის, დაოიზმისა და ბუდიზმის ძირითადი პოსტულატები, რის საფუძველზეც გამოტანილია სათანადო დასკვნები.

## **ნინო შიომღვიმელი**

### **ვანის ოთხთავის დეკორატიული მორთულობა**

ვანის ოთხთავი ეკუთვნის XII-XIII საუკუნეებს. გადანერილია იოანე კალიგრაფის მიერ, თამარ მეფის შეკვეთით, ჰრომაის ქართველთა მონასტერში. სახარების რედაქცია ეკუთვნის გიორგი მთანმინდელს. ვანის ოთხთავი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ცნობილი გახდა მე-19 საუკუნის შემდეგ.

ხელნაწერი მრავალმხრივ საინტერესოა. ე. თაყაიშვილისა და ნ. კონდაკოვის ცნობების მიხედვით, ხელნაწერს ჰქონდა ჯვარცმის, ჯოჯოხეთიდან წარმოტყვევნისა და მახარებელთა

ჭედური გამოსახულებებით შემკული ვერცხლის ბუდე, რომელიც, კონდაკოვის აზრით, ამ ხელნაწერის თანამედროვე უნდა ყოფილიყო.

ვანის ხელნაწერის ზომა არის 29x21 სმ. დანერილია ნუსხურით საუკეთესო ხარისხის ეტრატზე, ორ სვეტად, შეიცავს 548 გვერდს. ხელნაწერი მდიდრულადაა მოხატული. შემკულია კამარებით, მინიატიურებით ახალი აღთქმიდან, მახარებელთა გამოსახულებებით თავსართებითა და ინიციალებით. განსაკუთრებით გაფორმებულია კამარები, თავსართები და ინიციალები. განსხვავებული დეკორით არის მოკაზმული ანტაბლემენტები, რომელიც კამარების კაპიტალებზეა მოთავსებული.

ხელნაწერი წიგნის ორნამენტული მორთულობა, ძირითადი ელემენტები, დიდი მხატვრული გემოვნებით და მაღალი ტექნიკური ოსტატობითაა შესრულებული. ჭარბობს ოქრო, ლურჯი და მწვანე ფერი. ლურჯი და მწვანე ყვითელი, თეთრი და წითელი წამლით არის გაცოცხლებული. ოქროც არის გამოყენებული სანერ მასალად. გარს უვლის ინიციალებს, ორნამენტულ დეტალებს, სტილიზებულ ხეებს და სინგურით ნანერ ასომთავრულის მთავრულ ასოებს.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი წიგნის მორთულობის ელემენტები, ძირითადად, თავების დასაწყისშია მოქცეული. თვით სახარების ტექსტები გაფორმებული არ არის და დეკორაციულ ელემენტებსაც არ შეიცავს.

ვანის ხელნაწერი მხატვრული მანერით და საშემსრულებლო ტექნიკით უბადლო ნიმუშს წარმოადგენს. დიდი ოსტატობით არის გაკეთებული ყოველი დეტალი და მის კაზმულობას ისიც ამშვენებს, რომ არის ულამაზესი ნუსხურით ნანერი, ფაქტობრივად, ეს ასოებიც კი ერთ-ერთი მხატვრული შედეგია.

## **ნანა შოშიაშვილი**

### **ზმნის პირის ნიშანთა გამოხატვის თავისებურებანი გარეკახურ კილოკავში (გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით)**

ქართული ენის დიალექტებს შორის ერთ-ერთი საინტერესო თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით არის კახური დიალექტი. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, მისი ტერიტორიული სიახლოვე ქართლის ცენტრალურ ნაწილთან და, მეორე მხრივ, თვით სალიტერატურო ენის მზარდი ზეგავლენა კახურ მეტყველებაზე. ამიტომ ნებისმიერი დიალექტური ჩანაწერი, მით უმეტეს გამოუქვეყნებელი ტექსტები, მნიშვნელოვანია კილოს ენობრივი თავისებურებების გასაანალიზებლად.

ჩვენი კვლევა ემყარება ემპირიულ მასალას, რომელიც ჯერ არაა შეტანილი დიალექტურ კორპუსში (corpora.co-ზე) და არაა შესწავლილი მკვლევართა მიერ. ტექსტები ჩანერილია 1977 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ ექსპედიციაზე საგარეჯოსა და ამავე რაიონის სოფლებში (პატარძელში, მანავეში, გიორგინმინდასა და კაკაბეთში) და ინახება უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ზმნის პირის ნიშანთა გამოხატვის თავისებურებები.

სუბიექტი პირველ პირში უმეტესად გამოხატულია ვ- პრეფიქსით ან დაკარგულია ზმნის პირის ნიშანი (მე უთხარ...).

სუბიექტური მეორე პირი წარმოდგენილია უნიშნოდ ან ჰ- || ს- პირის ნიშნებით, გვხვდება ა-ით ან აჰ- || ას- კომბინაციით გამოხატული ფორმები (გააჰყიდეთ, მოაჭრან...).

მესამე სუბიექტური პირის გამოსახატად დადასტურდა -ს სუფიქსი ან ჯ (მქონდე...), მრავლობით რიცხვში კი – -ეს ან -ეჲ (გაანებე...), -ნენ ან -ენ (დასხდენ...). სხვა პირის ნიშნები (-ა, -ო, -ან, -ნ) გამოყენებულია სალიტერატურო ენის მსგავსად.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები:

ა) გამოიხატება ჰ- || ს- პირის ნიშნებით;

ბ) ჯ-ით იცვლება (დაახოცამდნენ, მოადევდათ...);

გ) ჯჰ- || ჯს- კომბინაციით გამოვლინდება (წამაჯჰყარეთ, მოესლო...);

დ) საერთოდ იკარგება.

პირის ნიშანი იკარგება როგორც აუსლაუტში (დგა), ისე ანლაუტში (კრა).

ყურადღება მიექცა ობიექტების მრავლობითი რიცხვის გამოხატვას. დადასტურდა -ყე / -კე სუფიქსების გამოყენების რამდენიმე შემთხვევა გარეკახური კილოკავის მოცემულ ტექსტებში, თუმცა ეს თავს იჩენს არასისტემურად.

გარეკახური კილოკავის მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩანერილი გამოუქვეყნებელი მასალის შესწავლამ ზმნის პირის ნიშნების გამოხატვის თვალსაზრისით გამოავლინა, რომ ცოტაა განსხვავება სალიტერატურო ქართულისაგან. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება კახური (და ნებისმიერი) კილოს შესწავლა უახლესი ემპირიული მასალის საფუძველზე და ცვლილებებზე დინამიკაში დაკვირვება.

## ქისტინე შუკვანი

### ერთი სურათის შექმნის ისტორიიდან: გრანტ ვუდის ამერიკული გოტიკა

1930-იანი წლების ე.წ. ამერიკული რეგიონული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის, გრანტ ვუდის ამერიკული გოტიკა, რომელიც ამჟამად ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტშია დაცული, კარგა ხანია ამერიკული ხელოვნების ერთგვარ ხატად იქცა. თუმცა, 1930 წელს, მის პირველ გამოფენას ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში, დიდი აურზაური მოჰყვა. კრიტიკოსებისა და ხელოვნების მოყვარულთათვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რას ნიშნავდა თითქოს მოძველებული საოჯახო ალბომის ფოტოსურათს მიმსგავსებული წყვილის გამოსახვა 1880-იანი წლების გოტიკური დეკორით გაფორმებული სახლის ფონზე. სკეპტიციზმი გამოიწვია თავად წყვილის სახეების განსხვავებულმა ინტერპრეტაციებმაც, რომელთაგანაც ზოგისთვის სურათის პერსონაჟთა და მათი ურბანული გარემოს ასეთი წარმოდგენით, მხატვარი ირონიულად წარმოაჩენდა ამერიკული რეგიონების ჩამორჩენილობას, სადაც მოსახლეობას ტექნოლოგიის განვითარებით საგრძნობლად აჩქარებული თანადროულობის მიღება და ძველი, დრომოჭმული ტრადიციების დათმობა არ სურდა. მიუხედავად ამისა, სურათი შეუწელებელ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში და დროთა განმავლობაში აღქმული იქნა, როგორც მხატვრის პოზიტიური გზავნილი დიდი დეპრესიით გამოწვეულ, უიმედო რეალობაში აღმოჩენილი ამერიკული საზოგადოებისთვის. მოხსენების მიზანია, გრანტ ვუდის ამერიკული გოტიკის შექმნის პროცესის რეკონსტრუქცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს

გავანალიზოთ, თუ რამ განაპირობა მისი განსხვავებული ინტერპრეტაციები და აღქმა სხვადასხვა თაობის ამერიკულ საზოგადოებაში.

## **მახიამ ჩააძე**

### **მონაწილე დაკვირვების მახასიათებლები**

ეთნოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული სხვადასხვა ხერხიდან და ინსტრუმენტებიდან, ზოგადად, დაკვირვება და კონკრეტულად, მონაწილე დაკვირვება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ველზე ყოფნისას ეთნოგრაფი აკვირდება უმცირეს დეტალებს – დანყებული სოციუმის ყოველდღიური რუტინიდან, დამთავრებული რწმენა-წარმოდგენებითა და რელიგიური პრაქტიკებით. მონაწილე დაკვირვების დროს ანთროპოლოგი შედის ინტერაქციაში ადამიანებთან და მათ გარემოსთან. ტექნიკა მკვლევარს საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს, თუ როგორ და რატომ აკეთებენ ადამიანები იმას, რასაც აკეთებენ ემიკური პერსპექტივიდან.

საველე კვლევის ცნობილი წარმომადგენელი, ბრონისლავ მალინოვსკი აღნიშნავდა, რომ ჩართული დაკვირვება არის იარაღი, რომლის საშუალებითაც „გავიზრებთ ადგილობრივების ხედვას, მათ დამოკიდებულებას ცხოვრებასა და სამყაროზე“. გარდა იმისა, რომ ჩვენს წარმოსახვაში ჩართული დაკვირვება ინფორმაციის მოგროვების შესანიშნავ, ლოგიკურ და მნიშვნელოვან საშუალებად გვეჩვენება, რომლის წარმმართველი მკვლევარია (რამდენადაც ის არის პასუხისმგებელი ინფორმაციის შეგროვებასა და ინტერ-

პრეტაციაზე), მას თან ახლავს გარკვეული პრობლემები და სირთულეები; ამათგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე ეთნოლოგის ობიექტურობის საკითხია.

კვლევაში შევეცდები განვიხილო მონაწილე დაკვირვების მნიშვნელობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით, ასევე მოვიშველიებ ველზე მუშაობის საკუთარ გამოცდილებასაც.

## **მაჩიამ ჩხეიძე**

### **ძებნა/პოვნის აღმნიშვნელი სიტყვები ინგლისურსა და ქართულში**

მოხსენებაში შედარებულია ძველი ინგლისური სიტყვები `secan\findan`, თანამედროვე (`seek (search)\find`) და მათი ქართული შესატყვისები, ანუ კორელატები. კვლევა მოიცავს ამ სიტყვათა ეტიმოლოგიას, სემანტიკასა და შეპირისპირებით ანალიზს. მოხსენება განიხილავს ინგლისური `seek (search)\find` სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების სხვადასხვა მნიშვნელობებს, მათ სინონიმებს, ამ ძირებიდან ნაწარმოებ სიტყვებსა და მათ გამოყენებას სხვადასხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ემპირიული მასალა მოპოვებულია კოლინსის, ოქსფორდის სასწავლო, კემბრიჯისა და დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონებიდან. გარდა ამისა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან, ქართული და ინგლისური ენის იდიომების ლექსიკონებიდან. ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული და ინგლისური ძებნა\პოვნის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ქართულში არ გვაქვს ინგლისური `secan`

(seek)-სთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა, ცდა და არც მოსანახულებლად წვევა. აგრეთვე, კვლევაში ნათლად ჩანს, რომ ქართული „პოვნა“, ინგლისურისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო ნაკლები მნიშვნელობის მატარებელია. ქართულში პოვნა არ გამოიყენება ყოფნისასრსებობის, შეხვედრის, დაკვირვების, გრძნობის, ან თუნდაც ვინმეს დამნაშავედსუნაშაულოდ ცნობის აღსაწერად. თუმცა ძირითადი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა: ძებნა, პოვნა და რაც აღსანიშნია, სულიერი განცდების, რაღაცის ძიების ან რაღაცის პოვნის (მოპოვების) მნიშვნელობები. კვლევა გვიჩვენებს, რომ ინგლისურში ორივე სიტყვას seek-ს; find-ს და ფრანგულიდან შემოსულ search-ს ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ქართულში. აგრეთვე ისინი ბევრად უფრო მეტი იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულში გამოიყენება.

## **გიოხგი წიგნადე**

### **დიდგორის ბრძოლის მიზეზები და შედეგები**

დიდგორის ბრძოლას გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს არის დრო, როდესაც დავით აღმაშენებლის გონივრული, წინდახედული ნაბიჯების გამო, ჩვენი ქვეყანა წარმატებით უმკლავდებოდა მტერს.

მოხსენებაში ვისაუბრებთ, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული მოვლენა და რა იყო მისი შედეგი. მოცემული საკითხი დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენი მოხსენება დაეყრდნობა როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებს. ყურადღება გამახვილებული იქნება დავით მეფის სამხედრო ტაქტიკის, რელიეფის მნიშვნელობისა და



ბრძოლის დასასრულის შესახებ. ასევე, დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობაზე როგორც საქართველოს, ისე კავკასიის მასშტაბით.

## **ნათია ხაზაჩაძე**

### **ფრანგული რევოლუციის ხატი: ჟაკ ლუი დავიდის მარატის სიკვდილი ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში**

ფრანგი ნეოკლასიციისტი მხატვრის, ჟაკ ლუი დავიდის ტილო *მარატის სიკვდილი* საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლოა, რომელზეც მხატვარმა თავის მეგობრის, რევოლუციის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურის, ჟან-პოლ მარატის სიკვდილის სცენა ასახა. 1793 წლის 13 ივლისს, ახალგაზრდა ქალის, შარლოტე კორდეს მიერ თავის აბაზანაში მოკლული მარატი – სისხლიანი ტერორის ერთ-ერთი თანაავტორი, მხატვარმა ტილოზე გამირისა და წამებული წმინდანის სახით წარმოადგინა. პოლიტიკურ შეხედულებათა პროპაგანდის ინსტრუმენტად ქცეულ სურათში, მნახველზე ემოციური ზემოქმედების მოსახდენად, მხატვარმა ქრისტიანული იკონოგრაფიის კარგად ცნობილი მოტივი გამოიყენა.

მოხსენებაში განხილული იქნება ის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც აჩვენებს თუ რამ განაპირობა მხატვრის მიერ მარატის სახის ასეთი ინტერპრეტაცია. მომხდარი აქტიდან სურათის შექმნამდე მიმდინარე მოვლენების რეკონსტრუქცია, საშუალებას მოგვცემს გავანალიზოთ, თუ როგორ ყალიბდებოდა ჟაკ ლუი დავიდის მიერ

მარატის სახის ვიზუალური კონცეფცია. ამავე დროს, ნაჩვენები იქნება თუ როგორ იცვლებოდა ეს კონცეფცია მე-19 საუკუნის საფრანგეთში მიმდინარე პროცესების ქრილში, როდესაც სხვადასხვა თაობის მხატვართა მთავარი ყურადღება, მარატის – რევოლუციის წმინდანად ქცეული გმირის ნაცვლად, თანდათან მკვლევლობის აქტის ჩამდენ შარლოტა კორდეზე გადადის, რომელიც მათი ტილოების მთავარი პერსონაჟი ხდება.

### **მაჩიამ ხამიკაშვიდი**

### **მაჩიამ წიწაკიშვიდი**

## **ჰამილტონის ხედვა ამერიკის ეკონომიკურ-ინდუსტრიული განვითარების შესახებ**

მას შემდგომ, რაც ჯორჯ ვაშინგტონი ამერიკის პირველი პრეზიდენტი გახდა, მრავალ გამონვევას შორის ერთ-ერთ პრობლემას რევოლუციური ომის დროს დაგროვილი ეროვნული ვალი წარმოადგენდა. ვალის არსებობის გამო კი მთავრობა გაკოტრდა და საჭიროებდა მრავალ რეფორმას, მათ შორის ფისკალურსაც, რითაც ეკონომიკასაც გააუმჯობესებდა და ევროპისთვის იქნებოდა კონკურენტუნარიანი ქვეყანა.

1789 წელს ჯორჯ ვაშინგტონმა ხაზინის მმართველად დანიშნა მეტად გამოცდილი, შესანიშნავი ორატორი და კარგი რეპუტაციის მქონე ალექსანდრ ჰამილტონი, რომელმაც მოახერხა და რესპუბლიკის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა. მას რესპუბლიკის ჩამოყალიბება შემდეგნაირად ესახებოდა: უნდა შეეგროვებინა ცენტრალური ხელისუფლებისთვის გადასახადების თანხა და საჯარო კრედიტების გაცემის ეფექტური სისტემა შემოეღო. შეიძლება ითქვას, რომ ჰამილტონმა

განჭვრიტა ამერიკული ცხოვრების ის ასპექტები, რომლებიც მომავალშიც გამოადგებოდა არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც. დამფუძნებელი მამებისგან განსხვავებით, ჰამილტონი ქვეყნის განვითარებას კაპიტალიზმის დამყარებით ცდილობდა. მისი აზრით, სწორედ მანუფაქტურა და ინდუსტრიული წარმოება მისცემდა ამერიკის შეერთებულ შტატებს საშუალებას, გამხდარიყო ეკონომიკური მოთამაშე მსოფლიო ასპარეზზე და ამით კონკურენცია გაენია ევროპისთვის. ჯეფერსონისგან განსხვავებით, რომელიც აგრარულ საზოგადოებას იდეალიზაციას უკეთებდა, ჰამილტონი ამტკიცებდა, რომ წარმოება და ვაჭრობა განუყოფელი იყო თანამედროვე ეკონომიკისთვის და სჯეროდა, რომ მრავალფეროვანი ეკონომიკა ერს გაამდიდრებდა და მისი მოქალაქეების პოტენციალს გაზრდიდა. ჰამილტონს, ასევე, სჯეროდა, რომ ეროვნული ბანკის არსებობა, რომელიც ინგლისის ბანკზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, აშშ-ის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი იქნებოდა.

ჰამილტონმა ჩამოაყალიბა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოითხოვდა მთავრობას დაეფარა როგორც ფედერალური, ასევე სახელმწიფო ვალები. მას სურდა, მთავრობას შეეძინა ყველა ობლიგაცია, რომლებიც გამოშვებული იყო როგორც ეროვნული, ისე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ 1789 წლამდე, ამის შემდეგ კი ის გეგმავდა ახალი ობლიგაციების გამოშვებას ძველი ვალების დასაფარად. შედეგად კი, როდესაც ეკონომიკა გაუმჯობესდებოდა, მთავრობა შეძლებდა ახალი ობლიგაციების გადახდას.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ჰამილტონის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელების გზების განხილვა და ხედვა ეკონომიკურ-ინდუსტრიული განვითარების

შესახებ, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალურობას. ჩვენი მიზანია, გავაცნოთ საზოგადოებას თუ როგორ ესახებოდა ჰამილტონს ამერიკის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები, რატომ იყო აუცილებელი ინდუსტრიული განვითარება, რით შეძლებდნენ ისინი ევროპის ძლიერი სახელმწიფოებისთვის კონკურენციის განწევის, ამ გადმოსახედიდან რატომ აჯობა ჰამილტონის გეგმამ ჯეფერსონისას და რატომ იყო უკეთესი.

## **მაჩივა ხაშიდაძე**

### **ნაპოლეონის ლაშქრობა მამლუქთა ეგვიპტეში (ბრძოლა ქართველ მამლუქთა დუუმვირატის წინააღმდეგ)**

XVIII საუკუნეში ეგვიპტეში გავლენების გასავრცელებლად ერთმანეთს დაუპირისპირდა საფრანგეთი და ინგლისი. ამას თავისი სტრატეგიული მიზეზები ჰქონდა, ეგვიპტის ხელში ჩაგდება თითოეულ მათგანს გზას უხსნიდა შორეული აღმოსავლეთისკენ. განსაკუთრებული პოლიტიკური გეგმები გააჩნდა ფრანგ გენერალს – ნაპოლეონ ბონაპარტს (1769-1821). მდიდარი ეგვიპტის ფრანგულ კოლონიად გადაქცევა, ამ უკანასკნელის აზრით, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საფრანგეთის გაბატონებას შეუწყობდა ხელს. აგრეთვე, ეგვიპტის დაუფლება ნაპოლეონის ანტიბრიტანული მიზნების განხორციელებას და ინდოეთზე საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოებას ითვალისწინებდა.

საფრანგეთი ეგვიპტის საკითხით ჯერ კიდევ 1785 წლიდან იყო დაინტერესებული, როდესაც ეგვიპტის მამლუქებთან გაიმართა მოლაპარაკება და დაიდო კონვენცია ინდოეთისკენ

ფრანგი ვაჭრების თავისუფლად მიმოსვლის შესახებ. მიუხედავად ამ ნაბიჯისა, საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ (1789-1799) ეგვიპტის ექსპედიცია რამდენიმე წლით გადადო.

1797 წელს ნაპოლეონმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ეგვიპტის ექსპედიციის გეგმა და ექსპედიციის ხელმძღვანელად გამოცხადდა. ბონაპარტინგლისისგანადგურებისკენ გადადგმულ მთავარ ნაბიჯად ეგვიპტის დაუფლებას განიხილავდა. მიუხედავად ინგლისის სახელმწიფოს მითითებებისა, ეგვიპტელი მამლუქები საფრანგეთს ძლიერ მონინააღმდეგედ არ მიიჩნევდნენ. 1798 წლის 1 ივლისს ფრანგული არმია ალექსანდრიის ნაპირს მიაღწა. ამავე წლის 21 ივლისს იმბამბასთან ბრძოლაში, რომელიც შემდგომ პირამიდების უბანში გაგრძელდა, 12 ათასი მამლუქიდან 7 ათასი დაეცა, მათ შორის მრავალი ქართული წარმომავლობისა იყო. ეგვიპტის ექსპედიციაში აღსანიშნავია ეგვიპტელ მამლუქთა შორის ქართველი ბეგების მონაწილეობა. ქართული წარმომავლობის იყვნენ მამლუქთა ბეგები: მეთაური მურად ბეგი და იბრაჰიმ ბეგ უმცროსი. იმ დროს ეგვიპტეში ამ უკანასკნელთა დუუმვირატი იყო დამყარებული.

ეგვიპტის ექსპედიციაში ნაპოლეონმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, თუმცა მან ეგვიპტის სრულად დამორჩილება ვერ მოახერხა, მისი რეალური ძალაუფლება, ძირითადად, კაიროსა და ალექსანდრიაზე ვრცელდებოდა.

ამრიგად, ნაპოლეონის ეგვიპტის ექსპედიციამ დიდი მნიშვნელობა იქონია საკუთრივ საფრანგეთის, ინგლისისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოების მდგომარეობაზე. ამ საკითხზე უკვე არსებობს სხვადასხვა მკვლევართა მიერ დამუშავებული ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობაა. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ექსპედიციის მიმდინარეობა, საფრანგეთის მიერ ეგვიპტის კოლონიის ჩამოყალიბების მცდელობა და მისი შედეგები.

## **ნიკა ხაჩიძე**

### **სწორფრობის მითოსი**

ერთ დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხევსურეთში არსებული სწორფრობის წეს-ჩვეულება, რომლის გენეზისიც საიდუმლოებით არის მოცული, კავშირს ავლენს ამავე კუთხეში გავრცელებულ მითოლოგიურ ნარატივებსა და ხალხურ გადმოცემებთან, კერძოდ, იგი მსგავსებებს ამჟღავნებს ხევსურული მითოსის გამორჩეულ გმირთან – სამძივართან. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურთა ცხოვრების განუყოფელი სულიერი კულტურის – სწორფრობისა და მითიური სამძივრის ამბებიც ბურუსითაა მოცული და ორივე შემთხვევაში არსებულ ქმედებათა პირველადი აზრი დაკარგულია, სამძივრის შესახებ ჩვენამდე მოღწეული პროზაული და პოეტური ტექსტები, გადმოცემები და ნაქადაგები ნათელს ჰფენს მათ სიღრმისეულ არსთა კავშირს და გვაახლოებს მითის შინაარსში დამალულ საზრისთან. მითოსისა და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულების გაგებას შესაძლებელს ხდის მითის მარადიული თანამყოფობა ადამიანის შინაგანი აგებულების არსობრივ შემადგენლად, რისი წყალობითაც ადამიანი, ყოველ დროს, მითოსში ამოიცნობს ჭეშმარიტ მეს.

სწორფრობის წეს-ჩვეულება და მითოლოგიური გადმოცემები სამძივარზე აშკარა მსგავსებას ავლენენ გარკვეულ საკითხებში, კერძოდ, სწორფრობის ურთიერთობის მთავარი ფუნქცია იყო ვნებებისა და ხორციელი მოთხოვნილებების დათრგუნვა, რაც ერთგვარად არეკვლა სამძივრის სიტყვისა თუ ქცევისა. სწორფრობაში ურთიერთობის ინიციატორიცა და წარმმართველიც ქალია, მსგავსად სამძივრის ამბისა. ორივე შემთხვევაში ვაჟის ვნებებს ზღვარს ქალი უწესებს. კავშირი

იკვეთება რჩეულთა, იღბლიანთა საკითხშიც, წეს-ჩვეულებაშიც და მითოსური გადმოცემების მიხედვითაც ტრფობის საგანი რჩეული, იღბლიანი პიროვნებაა, რომელსაც მითოსურ გმირთან თუ სწორფერთან წოლა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა და გამოცდას უმზადებდა. სამძივრის რჩეულთათვის გარდაუვალი იყო ტაბუაცია, ხევსურთა ტრადიციულ საზოგადოებაში მიიჩნეოდა, რომ წმინდად მყოფი უკეთ გაიგებდა და გადმოსცემდა ღვთაების სურვილს. გარკვეული სახით აკრძალვა სქესობრივი ცხოვრებისა, არც სწორფერთათვის იყო უცხო, რომელთა შორისაც, გადმოცემების თანახმად, იყვნენ ტრადიციის ერთგულნი, სწორფრობის კულტს შენიშუნნი. სწორფერთა ეს გამორჩეული ნაწილი ღვთიურ ტრადიციას სწირავდა თავს და უქორწინებლად წყვეტდა ცხოვრებას, რაც საიდუმლოს ნაწილად აქცევდა მათ.

### **მახიამ ხუბუნაია**

### **მეტრიკული დრო და მისი ასახვა ქართულ ხალხურ ზღაპრებში**

მთქმელი ზღაპრის სტრუქტურას აღწერს მრავალფეროვანი ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით; მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დროის გამოხატვის ენობრივ მონაცემებს. მეტრიკული დრო გაჩნდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობა დროის ათვისების ახალ ეტაპზე გადავიდა; კერძოდ, ადამიანებმა დრო დააზუსტეს თვლადი დროითი მონაკვეთების გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით.

კონკრეტული დროის ერთეულებს შორის ყველაზე დიდი მონაკვეთია *წელი*. მასთან მიმართებით განისაზღვრება დროის სხვა მონაკვეთები: წლის დროები, თვეები, დღეები; ცალკე გამოიყოფა მეტრიკული დროის უმცირესი მონაკვეთი – დღე-ღამის ციკლი. ქართულ ხალხურ ზღაპრებში კონკრეტული წლები არ სახელდება, რაც ბუნებრივია ზღაპრის სტრუქტურა-შინაარსიდან გამომდინარე; კონკრეტული თვეების სახელებს ვხვდებით როგორც ძველი, ისე ახალი სახელდებით. განსახილველად ალებულ ყველა ზღაპარში დასტურდება კონკრეტულად მხოლოდ *კვირა დღე*, შვიდეულის დანარჩენი დღეები იშვიათად გვხვდება, ისიც ზოგადი სახელწოდებით. ამგვარი მიმართება კარგად ჩანს ლექსმათა ანტონიმური დაპირისპირებისას: *საქმის დღე – კვირა უქმე*. ზღაპრებში გვხვდება დღე-ღამის ციკლის ჩვეულებრივი მეტრიკული ერთეულები, როგორებიცაა: *დილაბინდი, დილაუთენია, დილა, შუადღე, საღამო, ღამე, შუაღამე* და სხვ. დღის განმავლობაში დროს აზუსტებს, ასევე, ჯერთან (პურის ქამასთან) დაკავშირებული ლექსემებიც: *საუზმე, სადილი, სამხარი, ვახშამი*. კონკრეტული დროის დაზუსტებას ემსახურება:

ა. *რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები:*

*სამი თვე, მეორე დღე...*

ბ. *სიდიდე-სიმცირის აღმნიშვნელი ვითარებითი ზედსართავი სახელები:*

*დიდი დრო, მცირე დრო, ცოტა ხანი...*

ზღაპარში იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგადი მნიშვნელობის აღმნიშვნელია ანტონიმური კომპოზიტი *ზამთარ-ზაფხულ*, რომელიც მთელ წელს აღნიშნავს. გამონაკლისი შემთხვევები ვერ ცვლის ზღაპარში მეტრიკული დროის გადმოცემის პრინციპებს.



## ხუსუდან ჯანანაშვიდი

### ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მეცხრე ეპიზოდის ინტერტექსტუალური თავისებურებები

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მეცხრე ეპიზოდი „სკილა და ქარიბდა“ ხშირად არაფორმალურად მოხსენიებული, როგორც ბიბლიოთეკის ეპიზოდი, მოქმედების ადგილიდან გამომდინარე, ყურადღებას მრავალი თვალსაზრისით იპყრობს, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ლიტერატურული ალუზიებისა და ინტერტექსტუალური ციტატების სიმრავლეა. გარდა ეპიზოდში გამოკვეთილი ტრადიციული ჰომეროსისეული რემინისცენციებისა (ყველაზე თვალსაჩინო ინტერტექსტუალური თავისებურება სწორედ ეპიზოდის არაოფიციალურ სათაურთანაა დაკავშირებული), ვხვდებით შექსპირის, მილტონის, დანტეს, ბოკაჩოს, სერვანტესისა და სხვა დიდი შემოქმედების კვალს. ასევე, ადვილი შესამჩნევია ალუზიები თავად ჯოისის სხვა ნაწარმოებებიდან, მითოლოგიური სიუჟეტებიდან თუ ანტიკური ფილოსოფიიდან.

მოხსენების მიზანია „ულისეს“ მეცხრე ეპიზოდის ინტერტექსტუალური თავისებურებების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ადგილი შექსპირისეულ ალუზიებს ეთმობა. რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, სტივენ დედალოსი, აპელირებს შექსპირის ბიოგრაფიული ფაქტებით, ავტორის დრამატურგიული ჩანაფიქრებით და საკმაოდ მრავალფეროვან შექსპირისეულ მასალას იყენებს ეპიზოდის ინტერტექსტუალური ჩარჩოს შესაქმნელად.

მეცხრე ეპიზოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი აქვს რეფერენციებს „ჰამლეტიდან“. ჯოისის მიერ 1920-იან წლებში შექმნილი სქემებიდან ვიგებთ, რომ ეპიზოდის მთავარი

სიმბოლო სწორედ ჰამლეტია. ანალიზის პროცესში იკვეთება, რომ სტივენი თავს აიგივებს პრინც ჰამლეტთან, შექსპირის გამოგონილ „შვილთან“ და წარმოიდგენს შექსპირს, როგორც მთელი კაცობრიობის სულიერ მამას და, შესაბამისად, საკუთარ მამასაც. „ულისეს“ მთავარი პერსონაჟი, ლეოპოლდ ბლუმი, მამის ფიგურაა, რომელიც განასახიერებს როგორც შექსპირს, ისე მეფე ჰამლეტის აჩრდილს და ამავდროულად მოხეტიალე ოდისევსს.

მეცხრე ეპიზოდის ინტერტექსტუალურ თავისებურებათა გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მისი ფილოსოფიური დისკურსი და თვითრეფლექსია, რომლის პოეტური ქსოვილიც სწორედ ინტერტექსტუალური დეტალებითაა შექმნილი, მთავარ გმირს აძლევს საშუალებას გაერკვეს საკუთარ, ავთენტურ იდენტობაში და ნაწარმოებში სწორედ იდენტობის პრობლემის თემატიკას ეხმიანება.

## სარჩევი

<b>ანი ბაიდოშვილი</b> .....	3
რეალიზმი, მითი და ანტიმითი ჰოვარდ ლავკრაფტის „ქთულჰუს ძახილში“	
<b>გიორგი ბარნაბიშვილი</b> .....	4
გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის პოლიტიკური პორტრეტების ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების შესახებ	
<b>ელენე ბერაია</b> .....	6
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ – განვითარების პერსპექტივები	
<b>თამუნა ბორაშვილი</b> .....	7
კამილ კოროს სურათების სერია „ქალი მოლბერტთან“	
<b>მარიამ ბუკია</b> .....	8
ლექსემა ლორონთი „ღმერთი“ მეგრულ იდიომებში: ენობრივი ანალიზი	
<b>ნიკოლოზ გაზდელიანი</b> .....	10
„ლეკების უბანი“ სოფელ დილომში	
<b>ლუკა გელაშვილი</b> .....	11
სოციალ-ეკონომიკური წყობები და სოციალური იერარქიის ჯაჭვი ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებებში	
<b>ირა გელაძე</b> .....	11
ნაქარგობები, როგორც ეთნოგრაფიული წყარო	

<b>ლანა გიორგაძე</b> .....	13
ინგლისური სიტყვა „give“ და მისი ქართული კორელატის შედარებითი ანალიზი	
<b>ნინო გოგალაძე</b> .....	15
Come – სიტყვის ლინგვისტური ანალიზი	
<b>მარიამ გოგუაძე</b> .....	16
არქაული და პასიური ლექსიკა სპორტის დისკურსში	
<b>ანა გოგიშვილი</b> .....	18
ძველი ინგლისური სიტყვა <b>leod</b> და მისი თანამედროვე ინგლისური და ქართული შესატყვისები	
<b>ია გოლიაძე</b> .....	19
რუსეთის პოლიტიკა და ქმედებები ყირიმისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ: შედარებითი ანალიზი	
<b>ალეკო ზავრადაშვილი</b> .....	21
კლდის ხელოვნება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სამელე კლდის, გვარჯილასა და მღვიმევის მღვიმეების მიხედვით)	
<b>ნინა ზიგერი</b> .....	23
ახალი მმართველი კოალიცია გერმანიაში და პოლიტიკური სტაბილურობა	
<b>მარიამ თხინვალელი</b> .....	25
დაუფუძომელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მისი ძველი ქართული თარგმანი	

<b>მარიამ კაკალაშვილი</b> .....	26
ქალური ნარატივი ვირჯინია ვულფის შემოქმედებაში („მისის დელოუეისა“ და „ორლანდოს“ მიხედვით)	
<b>თონა კაციტაძე</b> .....	27
ცხოველთა სიმბოლიკა მიაას რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში	
<b>ანა კერძევაძე</b> .....	29
ენგრიდან მან რეიმდე: ვალპინსონის მობანავე ქალი	
<b>მარიამ კობრეიძე</b> .....	30
სარდიონის მძივები გრაკლიანი გორიდან	
<b>ნინო კუცია</b> .....	31
ეპიფანიის მხატვრული ფუნქციის შედარებითი ანალიზი მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ბრიტანულ ლიტერატურაში	
<b>ცოტნე ლაცაბიძე</b> .....	33
„და ელოჰიმმა შექმნა ადამი“: უილიამ ბლეიკისეული ინტერპრეტაცია	
<b>მარიამ ლევაშვილი</b> .....	34
მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის ფრანგული საზოგადოების სარკე: თეოდორ ჟერიკოს „მედუზას ტივი“	
<b>მიხეილ ლეჟავა</b> .....	35
„სერასქერ სულთანი“ – იბრაჰიმ ფაშა	
<b>მერიკო მირინაშვილი</b> .....	36
საპნის დამზადების ტრადიცია სოფელ შილდაში	

<b>ეკატერინე მუშკუდიანი</b> .....	37
XIX საუკუნის შუა ხანები, როგორც საეტაპო მომენტი, ბატონყმობის გაუქმება და კაპიტალიზმის გავრცელება საქართველოში	
<b>ლუკა ნებიერიძე</b> .....	38
ალექსანდრე I დიდის გამეფების თარიღის საკითხისათვის	
<b>ნანა ნიკვაშვილი</b> .....	40
შემოქმედებითობიდან არტისტობამდე: ხელოვნება, როგორც შემოსავლის წყარო	
<b>მარიამ ნოზაძე</b> .....	41
საბედისწერო ნადირობა ზღაპარსა და ბალადაში (შედარებითი ანალიზი ქართული ფოლკლორული მასალის მიხედვით)	
<b>მერი ულუმბელაშვილი</b> .....	42
ინგლისური ზმნის <i>dare</i> სემანტიკისათვის	
<b>ნერიკა სეხნიაშვილი</b> .....	43
წყლის ტრანსპორტის აღმნიშვნელი სიტყვები ინგლისურ და ქართულ ენებში	
<b>მარიამ ქვლივიძე</b> .....	44
შუამთის მონასტერთან დაკავშირებული გადმოცემები და მათი ასახვა ლიტერატურაში	
<b>მედეა ქურდოზაძე</b> .....	46
კრებითი არსებითი სახელი „ჯოგი“ და მისი სინონიმები ინგლისურსა და ქართულში	

---

<b>ნინო ქუქიშვილი</b> .....	47
ათენგენობა ხევში (გარბანი, სნო, სიონი)	
<b>ლუკა ყურუა</b> .....	48
ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებების შედარებითი ანალიზი	
<b>ნინო შიომღვიმელი</b> .....	49
ვანის ოთხთავის დეკორატიული მორთულობა	
<b>ნანა შოშიაშვილი</b> .....	51
ზმნის პირის ნიშანთა გამოხატვის თავისებურებანი გარეკახურ კილოკავში (გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით)	
<b>ქრისტინე შუკვანი</b> .....	53
ერთი სურათის შექმნის ისტორიიდან: გრანტ ვუდის <i>ამერიკული გოთიკა</i>	
<b>მარიამ ჩალაძე</b> .....	54
მონაწილე დაკვირვების მახასიათებლები	
<b>მარიამ ჩხეიძე</b> .....	55
ძებნა/პოვნის აღმნიშვნელი სიტყვები ინგლისურსა და ქართულში	
<b>გიორგი წიგნაძე</b> .....	56
დიდგორის ბრძოლის მიზეზები და შედეგები	
<b>ნათია ხაზარაძე</b> .....	57
ფრანგული რევოლუციის ხატი: ჟაკ ლუი დავიდის მარატის სიკვდილი ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში	

<b>მარიამ სამიცაშვილი, მარიამ წინაკიშვილი</b> .....	58
ჰამილტონის ხედვა ამერიკის ეკონომიკურ-ინდუსტრიული განვითარების შესახებ	
<b>მარიტა ხარშილაძე</b> .....	60
ნაპოლეონის ლაშქრობა მამლუქთა ეგვიპტეში (ბრძოლა ქართველ მამლუქთა დუუმვირატის წინააღმდეგ)	
<b>ნიკა ხაჩიძე</b> .....	62
სწორფრობის მითოსი	
<b>მარიამ ხუბუნაია</b> .....	63
მეტრიკული დრო და მისი ასახვა ქართულ ხალხურ ზღაპრებში	
<b>რუსუდან ჯანანაშვილი</b> .....	65
ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მეცხრე ეპიზოდის ინტერტექსტუალური თავისებურებები	



**გამოცემაზე მუშაობდნენ:**

მაია ეჯიბია

ნინო ვარციშვილი

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>